



# მედიის უნივერსიტეტი

№ 8 (255) სექტემბერი, 2018 წელი

გამოცემის 1990 წლის დეკემბერიდან



## ახალი სასწავლო წელი - საჯიშო განყოფილება დღის რეჟიმით

17 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყება იზეიმეს. უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში, გრიგოლ ხანძთელის ძეგლის გვერდით, ერმა და ბერმა, სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველკურსელებს, ახალი ცხოვრების გზა დაულოცეს. გაუძღვრდა სახელმწიფო ჰიმნი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ და მხარის გუბერნატორმა ბესიკ ამირანაშვილმა ყვავილებით შეამკეს ივანე

ჯავახიშვილისა და გრიგოლ ხანძთელის ძეგლები. საჯიშო ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორმა გახსნა. ნება მიბოძეთ, განსაკუთრებით მივსალამო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობრძანებულ სტუმრებს, მივესალმებო სტუდენტობას და გამოვყოფ პირველკურსელებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, სხვაგვარი გულისფანცქალით დგანან იმ უნივერსიტეტის ეზოში, რომელიც აირჩიეს სასწავლებლად, - ბრძანა ქალბატონმა მაკამ და აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოცდამეცხრე იღებს ახალ ნაკადს და იწყებს სასწავლო წელს. გამოცემად უნდა იქნას მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მინისტრის ბატონ მიხეილ ბატიაშვილის უკანასკნელ ხანს გაცხადებულ გეგმებს, სადაც მინისტრმა ცალსახად დააფიქსირა, რომ გველოდება რეფორმები განათლებაში ხუთივე მიმართულებით. ჩვენი უნივერსიტეტი ხუთივე მიმართულებით მიიღებს რეფორმებში მონაწილეობას. როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მზად ვართ, ყველა სტანდარტი შესაბამისად დავეკმაყოფილოთ და მეტიც - გადავდგათ სერიოზული ნაბიჯი განვითარებისკენ, - აღნიშნა რექტორმა და დასძინა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარდამტეხ ნაბიჯებს გეგმავს პროფესიულ განათლებაში, რომ, აგერ უკვე ოთხი წელია, უნივერსიტეტს გაუჩნდა ჯანსაღი ამბიცია - წვლილი შეიტანოს ქვეყნის მეცნიერების განვითარებაში. ეს წელი, დაანონსებული როგორც რეფორმების წელი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქნება რეფორმებისა და განვითარების წელი.

გაგრძელება მე-2 გვ.



## ერთად - უნივერსიტეტის წარმატებისთვის

83.10



## კვირის ღონისძიებების ფოტორეპორტაჟი

83.12

## სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 22-23 სექტემბერს, გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას - სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა. კონფერენცია მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში ჩატარდა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სამხარეო

ადმინისტრაციის პატრონაჟით. მობრძანებულ სტუმართა მასშტაბურობიდან და კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე, ნათელი გახდა კონფერენციის მნიშვნელობა და დანიშნულება. მოხსენებების თემატიკა იყო მრავალფეროვანი და ეხებოდა სამცხე-ჯავახეთში არსებულ იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს ონომასტიკური კვლევების წინაშე დგას.

გაგრძელება მე-4 გვ.



## ტოგოტ სეღუბა უნივერსიტეტი ავტორიტეტის პრეტენსი

83.7



## პირველი ქართველოლოგიური სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა უნივერსიტეტში

83.8

## სიახლე აბიტურიენტებისთვის

83.8

## დასკვნითი ღონისძიება ფესტივალის დასრულება და ინიციატივის შესრულების შედეგად

ვიქცევთ აქვითი თაყაიბვილის დაბადებიდან 155 წლისთავს

83.9

## „ის, რას იწყება ღმერთს, სინამდვილეში, არ მთავრდება“

83.9





პირველი გვერდიდან

ქალბატონმა მაკამ უნივერსიტეტის მიულოცა დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო პროგრამის წარმატებული აკრედიტაცია და პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ ირმა ქურდაძეს და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ გულიკო ბეჟაურს მადლობა მოახსენა განეული შრომისთვის.

რექტორის მისასალმებელი გამოსვლის შემდგომ დამსწრე საზოგადოება დალოცა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მღვდელმთავარმა **მეუფე თეოდორე**მ:

ჩვენო საყვარელო სტუდენტებო, ჩვენო შვილებო, ჩვენო ახალგაზრდობავ, პატივცემულო პროფესორებო, პატივცემულო საზოგადოებავ, მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე, განსაკუთრებული დღე ჩვენი ახალგაზრდების ცხოვრებაში. იწყება ახალი სასწავლო წელი და ვფიქრობ, რომ თითოეული ჩვენგანი სიხარულით არის სავესე და, ამავე დროს, თითოეულ ჩვენგანს ჩაგვაფიქრებს, რადგან არის მოლოდინი რაღაც ახლის. მინდა მოგმართოთ, რომ ბოლომდე გამოიყენოთ ის გონებრივი შესაძლებლობა, რომელიც უფაღმა ჩვენ მოგვამაღლა. დღემთა და გლოცოთ, დალოცვილი ბრძანდებოდეთ, წმინდა გრიგოლ ხანცთელის ძალა და მადლი შეგეწიოთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

საზეიმო ღონისძიებას უნივერსიტეტის რექტორი გაუძღვა; მან აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთს ახალი გუბერნატორი ჰყავს. უნივერსიტეტის მისია ცალსახად გაცხადებულია, რომ წვლილი შეიტანოს დემოკრატიის განვითარებაში, სახელმწიფოს განვითარებაში, სამცხე-ჯავახეთის განვითარებაში და ეს სამხარეო ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია, - აღნიშნა მან და მისალმებისთვის გამოსვლა სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორს ბესიკ ამირანაშვილს სთხოვა.

დღეს მნიშვნელოვანი დღეა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. ეს რეგიონში უმთავრესი საგანმანათლებლო კერაა. ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ თქვენთან იმისთვის, რომ განვითარდეს აქ ყველა ფაკულტეტი, ის მიმართულებები, ის გეგმები, რომლებიც თქვენ გაგაჩნიათ. მინდა მივულოცო სტუდენტებს სწავლის ეტაპია მათთვის. სტუდენტობა არის მნიშვნელოვანი განათლების მიღების კუთხით, მაგრამ ეს ახალი ურთიერთობების დასაწყისიცაა. მინდა, ამ გზაზე ყველას წარმატება გისურვოთ. ახალგაზრდებთან ჩვენ ვითანამშრომლებთ, თქვენეი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩემი კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის.

მნიშვნელოვანია აქვს ნებისმიერ მხარდაჭერას, რომელიც გამოიქვეყნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისამართით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სპარლამენტო დონეზე მუდგანდება ეს მხარდაჭერა. მიმართა დამსწრე საზოგადოებას ქალბატონმა მაკამ და საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი კობაძე წარუდგინა. ამასთან, აღნიშნა, რომ ბატონი გიორგი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ეს გზა შეიძლება ძალიან წარმატებული იყოსო, - აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და მისალმებისთვის



ვის სიტყვა სთხოვა **გიორგი კობაძე**:

გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას. მოგესალმებით ყველას, განსაკუთრებით - პირველკურსელებს, ვინაიდან ისინი

გრიგოლ ხანცთელისა, რომელიც სამი ათეული წელი სრულდება, გზას უნათებდა და გაუნათებს მომავალში უნივერსიტეტს. მისი ნაფიქრი და იდეები ფრიად მნიშვნელოვანია დღესაც. **მეუფეს**

უნივერსიტეტმა თანამოაზრე შეიძინა. დაისახა ბევრი კარგი პერსპექტივა. უნივერსიტეტი თავის მხრივ გამოხატავს მზაობას, წვლილი შეიტანოს ახალციხის მუნიციპალიტეტის განვითარებაში. ის შეთანხმებები, რომელსაც მიაღწია უნივერსიტეტმა მუნიციპალიტეტთან, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდება. რექტორის ასეთი განაცხადის შემდეგ სტუდენტებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ზაზა მულიძე** მიესალმა:

ჩემთვის დიდი პატივია, მოგილოცოთ სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით მივესალმები იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც დღეს შემოაბიჯეს უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა მთელი საქართველოს მასშტაბით და განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში. მუნიციპალიტეტი მზად არის თანამშრომლობისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტები იყვნენ წარმატებულები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მისალმებას ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **იმედა მლაზრიშვილი**ც შეუერთდა:

მოგესალმებით. მინდა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის სახელით მოგილოცოთ სწავლის დაწყება. მისარია, რომ დღეს მომინია იმ კედლებში შემოსვლა, სადაც წლების წინ მეც ვიღებდი განათლებას. მივესალმები პირველკურსელებს. ამ უნივერსიტეტის შექმნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რადგან რეგიონის ახალგაზრდებს მოგვეცა საშუალება, ადგილზე მოგველო განათლება. უნივერსიტეტმა ბევრი ახალგაზრდა გააერთიანა. წარმატებებს გისურვებთ თქვენ, ახალგაზრდებს და ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს.

საზეიმო ღონისძიებაზე შეკრებილთა წინაშე წარდგინენ უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები:

**მირზა ბურჯანიძე**, სტუდენტური მმართველობის პრეზიდენტი:

**პირველყოვლისა, მინდა პირველკურსელებს მივულოცო ერთიანი ეროვნული გამოცდების**

# ახალი სასწავლო წელი - საზეიმო განხორციელება დღის რეპორაჟი



გავახსენებ 90-იანი წლების მთავარ სლოგანს - „თქვენთან არს სულიერი კეთილი, ჩვენთან არს ხორციელი კეთილი, შევერწყაით ურთიერთას“. ეს ნიშნავს, რომ იქ, სადაც სულიერი და ხორციელი ერთად იქნება და თუ ამას დაემატება ის შესანიშნავი კეთილგანწყობა, რომელიც

დღეიდან შეუდგებიან იმ დიდი საქმის კეთებას, რასაც ცოდნისა და განათლების მიღება ჰქვია. მინდა, მოგესალმოთ პარლამენტის სახელით და გისურვოთ წარმატებები.

დღეს განსაკუთრებით ველავ, რადგან პირველი წელია, რაც რექტორის პოზიციიდან ველოცები პირველკურსელებს. იმ-იტომ ვებღავე, ამ პოზიციიდან ვესაუბრო სტუდენტებს, რომ მაქვს მხარდაჭერა ერთ გუნდად მუშაობის, თანამშრომლობის გაგრძელების უნივერსიტეტის ნებისმიერ პროფესორთან, ნებისმიერ თანამშრომელთან, განსაკუთრებით ყოფილ რექტორთან, ბატონ მერაბ ბერიძესთან, რომელსაც დიდი ღვაწლი აქვს უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში, - აღნიშნა მაკა ბერიძე და მისალმებისთვის სიტყვა სთხოვა რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ **მირაზ ბაჩიძე**ს.

დღეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქედან ვენაშენებოდი ხოლმე ჩვენს პირველკურსელებს და დღეს მინდა რექტორის ასეთი თბილი შესავლის შემდეგ, თბილად მივესალმო მას და დაეუბრუნო ჩემი განსაკუთრებული მხარდაჭერა, - განაცხადა ბატონმა მერაბ ბერიძემ და აღნიშნა, რომ საზოგადოება გრიგოლ ხანცთელის გვერდით შეიკრიბა,

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ ზაზა მელიქიძესთან პირველივე შეხვედრისას ცხადი გახდა - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო





ჩაბარება და ჩვენს უნივერსიტეტში ჩარიცხვა. ვაფასებ თითოეული თქვენგანის გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც უკვე ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსს განიჭებთ და მე, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა მხოლოდ და მხოლოდ იმაზე იმუშავებს, რომ ეს ოთხი წელი, პირველკურსელებო, იყოს გამორჩეული და ნაყოფიერი. თუ გვსურს, რომ ჩვენი სტუდენტები იყვნენ წარმატებულები, ჩვენ მათ კიდევ ბევრსა და ბევრ საინტერესო ღონისძიებას შევთავაზებთ ლექცია-სემინარის შემდგომ.

**თამუნა მურჯიანი**, კურსდამთავრებული:

მინდა, მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება. ჩემი, როგორც ერთ-ერთი კურსდამთავრებულის რჩევა თქვენდამი იქნება, რომ მაქსიმალურად გამოიყენოთ უნივერსიტეტში ეს ოთხწლიანი პერიოდი, ეძიოთ თქვენ თავში შესაძლებლობები, აქტიურად მიყვით უნივერსიტეტის ცხოვრებას, იპოვოთ და მერწმუნეთ, რომ ეს შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ.

**ხატია ნატრიაშვილი**, კურსდამთავრებული:

მიხარია, რომ დღეს თქვენთან ერთად ვარ, პირველკურსელებო. მინდა გითხრათ, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები ამ უნივერსიტეტში გავატარე. აქედან გავიღო სრულიად სხვა ადამიანი, სხვა მისწრაფებებით, მიზნებით და ოცნებებით. ამ ადამიანებმა, რომლებსაც დღეს უყურებთ, შეძლეს და მოახერხეს, რომ ჩემი დიდი უნარი დაეფასებინათ. თუ თქვენი მიზანია, გახდეთ წარმატებულები, მიიღოთ ხარისხიანი განათლება, მინდა გითხრათ, რომ თქვენ სწორ ადგილას ხართ. გილოცავთ ამ დიდ ოჯახში მობრძანებას.

**ლილი ზაზაძე**, პირველკურსელი:

ყველა პირველკურსელს გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ საუკეთესო სტუდენტობას და დასახული მიზნების ასრულებას. ვამაყობ იმით, რომ თითოეულმა თქვენგანმა შეარჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვიმედოვნებ, რომ ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი რეგიონის განვითარებისთვის. ასევე, ვიმედოვნებ იმასაც, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ლექტორები იზრუნებენ იმისთვის, რომ გვექონდეს საინტერესო და დაუფინყარი სტუდენტობა.

**\* \* \***

პირველკურსელებისთვის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების პირველი კვირა დაიგეგმა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი საქმიანობის შედეგად. სტუდენტები პროგრამის გაცნობის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მათი აქტიური სტუდენტური ცხოვრება პირველივე დღეებიდან დაიწყო.

საზეიმო ღონისძიების დასრულების შემდგომ, პირველკურსელებს, ფაკულტეტების მიხედვით, კვირის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების საინფორმაციო ცნობარი გადაეცა. ამავე დღეს პირველკურსელები ფაკულტეტების დეკანებსა და პროგრამების ხელმძღვანელებს შეხვდნენ და უნივერსიტეტი დაათვალიერეს.

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში (ახალქალაქი) სასწავლო წელი 18 სექტემბერს დაიწყო. ეს დღე უნივერსიტეტის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ერთად სამღვდლოების წარმომადგენლებმა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებისა და რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა პირებმა, ასევე, საზოგადოების წარმომადგენლებმა იზეიმეს. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შერეულ საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მამაპაპაძე** მიესალმა:

განსაკუთრებით მივესალმები პირველკურსელებს. ვუსურვებ, ეს ოთხი წელი, რომელიც მათ ელით ამ უნივერსიტეტის კედლებში, ყოფილიყოს საინტერესო, წარმატებული.

დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ მიწაზე, ახალქალაქში, თავის დროზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის გახსნას დიდი შედეგი ჰქონდა. ეს იყო სწორი ნაბიჯი და ამისი დასტური დღევანდელი დღეა. მივესალმები უნივერსიტეტის პროფესორს, ჩვენს ადმინისტრაციას, მობრძანებულ სტუმრებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზაობას იმისა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მზად არის, შეიტანოს წვლილი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისა და, საერთოდ, რეგიონის წინსვლაში. უნივერსიტეტს აქვს სერიოზული პესპექტივები. დღეს მოსული ადამიანები, გარკვეულწილად, თავიანთი მობრძანებით ადასტურებენ მხარდაჭერას უნივერსიტეტის მიმართ. მე უკვე ვაბედულად შემეძლია გითხრათ, რომ ჩვენი გეგმები განხორციელდება, როდესაც ერთიანობა და ამდენი ადამიანის თანადგომა სახეზე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერმა **იური უნანიაშვილი**:

მოგესალმებით, ძვირფასო სტუდენტებო, პედაგოგებო, სტუმრებო. გისურვებთ იყოთ წარმატებულები. მადლობელი ვარ, რომ ამ ღონისძიებაში ვმონაწილეობ. გისურვებთ წარმატებებს და თქვენი მიზნების ასრულებას.

სტუდენტები დალოცა ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის დეკანოზმა **მამაპაპაძემ**:

სასიამოვნოა, რომ ახალქალაქში გეძლევათ საშუალება, მიიღოთ განათლება და ეს განათლება თქვენი ქვეყნისა და ერთმანეთის საკეთილდღეოდ

გამოიყენოთ. გისურვებთ წარმატებებს. ღმერთმა დაგლოცოთ.

სტუდენტებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის დამაარსებელი და პირველი რექტორი, ამჟამად პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე**: მახსენდება ის პერიოდი, როდესაც ვდაობდი – გახსნილიყო თუ არა უნივერსიტეტი



ახალქალაქში. მაშინ დავსხვდით და ვთქვით, ეს საქვეყნო საქმეა, ეს არის აუცილებელი საქმე აქ მცხოვრები მოსახლეობისთვის და სახელმწიფოსთვის. დღეს შედეგი სახეზეა. მე ყოველთვის მზაბა და სტუდენტების, რომლებიც ახლა მოვიდნენ და მათი წინამორბედებისა. თქვენ იცით თქვენი მშობლიური ენა სომხური, იცით ან რუსული, ან ინგლისური, თქვენ სწავლობთ ქართულს. როდესაც ამთავრებთ უნივერსიტეტს, ფლობთ სამ ენას და გაქვთ დასაქმების დიდი პერსპექტივა.

საზეიმო ღონისძიებაზე რექტორმა უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტებს შორის ზოგადი განათლება დაასახელა. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სკოლებთან თანამშრომლობა და რომ უნივერსიტეტი მზად არის, ხელი შეუწყოს მასწავლებლების წინსვლას სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვით.

სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ახალქალაქისა და ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა **ტირუა ჩივციანი** და **დავით ზედგინიძე**.

დამსწრეთ მიესალმა **მანანა მულაშვილი**, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ახალქალაქის რეგიონული ცენტრის ადმინისტრატორი: ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. აქ უმრავლესობა სტუდენტებისა ჟვანიას სკო-

ლის მსმენელები არიან. მინდა გითხრათ, რომ მთელი ზაფხული ამ ახალგაზრდებს არ დაუსვენიათ. ყოველდღიურად მოდიოდნენ და სწავლობდნენ ქართულს, ახალგაზრდები, რომლებიც არ წავიდნენ არსად და მთელი ზაფხული სახელმწიფო ენას სწავლობდნენ, ნამდვილად წარმატების ღირსნი არიან. მათ კარგად წარმოაჩინეს უნივერსიტეტი, სახელმწიფო.

მადლობა ქალბატონ მაკას იმ გადაწყვეტილებისთვის, რომ დღეს ვზვიმოვით ახალქალაქში სასწავლო წლის დაწყებას, – მიმართა საზოგადოებას რექტორის მოადგილემ ახალქალაქში **ვასილ მუსიაშვილმა**, – მიხარია, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები, საქართველოს მასშტაბით, ყველაზე მეტად არიან და-



საქმეულები და უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაა. ნინოწმინდაში, ახალქალაქში, ასპინძაში, თითქმის ყველა დაწესებულებაში ჩვენი კურსდამთავრებულია და ეს ნიშნავს იმას, რომ ახალქალაქში უნივერსიტეტის არსებობამ გაამართლა.

განსაკუთრებით პირველკურსელებს მივესალმები. მინდა გილოცოთ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ღირსეულად გაგიღის იპოვით საზოგადოებაში. ამას მოწ-

მობს ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მარჯვენა ხელი, ამას მოწმობს ისიც, რომ მაღალკურსელები არიან დასაქმებულები, – ბრძანა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ცისკარა ზარანდიამ** და ფაკულტეტის წარმატებულ სტუდენტებს სიგელები გადასცა. მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში მერაბ ბერიძემ, სიგელები გადასცა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს.

დღეს განსაკუთრებული დღეა. იწყება ახალი სასწავლო წელი მესამე კორპუსში. პირველკურსელებს განსაკუთრებით მივულოცავ ამ დღეს და, ამასთან, ვეტყვი მადლობას, რომ იმ დიდი არჩევანის წინაშე მდგომებმა აირჩიეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ, – მიმართა სტუდენტებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რიონ თათიშვილმა**.

დღეს განსაკუთრებული და ისტორიული დღეა, ჩვენ ერთმანეთს ახალქალაქის სასწავლო კორპუსში შევხვდით. იქ, სადაც ახალგაზრდობაა, იქ სიყვარულია, სადაც სიყვარულია, იქ სიმღერაა, სადაც სიმღერაა, იქ სიყვარულია და სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია. გისურვებთ წარმატებებს, – აღნიშნა კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა **თემურ მალრაძემ**.

გავამხელ საიდუმლოს, პირველად ვარ ამ კორპუსში და გაცნობთ ვარ. გამახარა იმ ფაქტმა, როდესაც მოვისმინე ამ კორპუსში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ. ვითანამშრომლოთ, მიუხედავად შორი მანძილისა, დაგვეგმოდეთ ერთობლივი ღონისძიებები და მივალნიოთ იმ წარმატებას, რასაც ჩვენი უნივერსიტეტი და რექტორი გვთავაზობს, – აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **მირზა ბურძინიძემ**.

მისასალმებელ გამოსვლებს შეუერთდნენ კურსდამთავრებულები, საჩუქრულ კენჭაქსხიანი, ნაზიკ ასლანიანი.

გჯეროდეთ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნება ისეთი, როგორც თქვენ გინდათ და ის იქნება ისეთი, როგორსაც თქვენ შექმნით. იყავით აქტიურები, მიიღეთ მონაწილეობა ღონისძიებებში, თქვენ დაინყეთ და, პირობას გააძლეეთ, ჩვენ გამოგვეცხობთ, – ასეთი სიტყვებით დაასრულა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული საზეიმო შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორმა **მამაპაპაძემ**.

**ლიკა ზაზაშვილი**





პირველი გვერდიდან

კონფერენციაზე სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციამ, რომელიც ეხებოდა რეგიონში არამართებულად შედგენილ სარეკლამო წარწერებს, ნათელი გახდა უნივერსიტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სამხარეო ადმინისტრაციის კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა. თანამშრომლობის დასტური გახლდათ კონფერენციაზე სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების მობრძანება.

პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მივსალმა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე: დღევანდელი ჩვენი შეხვედრა არის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ტრადიციული ონომასტიკური კონფერენციის ნაცვლად, რომელსაც ჩვენ ხშირად ვატარებთ, კონფერენცია ვავხადეთ თემატური. დღეს ჩვენ მხოლოდ ერთი თემის გარშემო ვისაუბრებთ. ეს იქნება სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა. დღეს, როდესაც ვილაც ენობრივ ნორმას დამახინჯებს, ჩვენ მის კუთხურებაზე გვექნება საუბარი, თუ რომელი კუთხიდან არის, მაგრამ როდესაც „თბილისის“ ნაცვლად „ტიფლისს“ ხმარობს ადამიანი, ეს სულ სხვა პრობლემაა, ეს სახელმწიფოებრივი პრობლემაა იმიტომ, რომ თითოეული საკუთარ სახელს, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, აქვს კონსტიტუციური ფორმა და აქტი. მათ რომ სახელი შეეცვალოს, ამას კონსტიტუციური ცვლილება სჭირდება. აქედან გამომდინარე, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ დღევანდელ შეხვედრას აქვს საინტერესო მნიშვნელობა.

პროფესორმა ყურადღება კიდევ ერთ ფაქტზე გაამახვილა: ვნახე პლაკატი, სადაც ეწერა „რაბათის ციხე“. ასეთი ტერმინი არ არსებობს. არსებობს „ახალციხის ციხე“. იქნებ ვიპოვებ, ამ ტიპის პლაკატები როდესაც ქალაქს მოეფინება, კონსულტაციები ხდებოდა მუნიციპალიტეტში. თუ მუნიციპალიტეტს გაუჭირდა ამ მიმართულებით, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი კონსულტაციისთვის, – აღნიშნა მან, მაღლობა მოახსენა მობრძანებულ სტუმრებს და სიტყვა მისალმებისთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ასოცირებულ პროფესორს მაკა ბერიძეს სთხოვა.

ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ კონფერენცია რამდენიმე თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. პირველი ის, რომ ამ

დღეს გაიხსნა საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი და უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, შეუერთდეს ამ კონფერენციით კვირეულის გახსნას. დღევანდელ კონფერენციაზე მეცნიერების მხრიდან წარმოქმნილი თითოეული რეკომენდაცია უნდა იყოს სწორად გაგებულ და გათვალისწინებული. ამის თქმის საშუალებას მაძლევს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

რომ რწმუნებულ-გუბერნატორმა ბესიკ ამირანაშვილმა. მიხარია, რომ დღეს კიდევ ერთხელ მიწვეს ამ კონფერენციაში მონაწილეობა. ჩვენ დიდ მხარდაჭერას ყოველთვის გამოვხატავდით ამ მიმართულებით. ის, რაც ბატონმა მერაბმა ბრძანა, მისასალმებელ სიტყვაში „რაბათის ციხესთან“ დაკავშირებით, საყურადღებოა და ვეცდებით ასეთი ფაქტები აღარ განმეორდეს. მივესალმე-

# სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია



მენტისა და სამხარეო ადმინისტრაციის ჩართულობა, რადგან სწორედ ადმინისტრაციის დონეზე უნდა აღსრულდეს მეცნიერთა რეკომენდაციები, – აღნიშნა რექტორმა და დასძინა, რომ ონომასტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია დღეს არ დანაშაულებს და ამას საფუძველი, გასულ წლებში, უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა მერაბ ბერიძემ ჩაუყარა. ტრადიცია კვლავ გრძელდება, რაც ადასტურებს იმას, რომ კიდევ უფრო მყარად გაიძლიერა ეს კონფერენციები ფესვებს და მომავალშიც გაგრძელდება.

კონფერენციაზე პრობლემების მოგვარების პერსპექტივებზე ისაუბრეს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილმა, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა მელიქიძემ, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ნოზაძემ.

დიდა მნიშვნელობა დღევანდელი კონფერენციის რეგიონში არიან უმცირესობები, რომელთაც თავიანთი კულტურა, თავიანთი ენა გააჩნიათ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენისა და ენობრივი პოლიტიკის სწორად წარმართვა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ჩავერთეთ ამ კონფერენციაში, რათა ერთად დავგეგმოთ და გავატაროთ ენობრივი პოლიტიკა ამ მიმართულებით, – აღნიშნა სახელმწი-

ფი ყველა მობრძანებულ სტუმარს და წარმატებულ მუშაობას გისურვებთ, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა მელიქიძემ.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის ხელმძღვანელმა თინათინ ბოლქვაძემ მისალმებისას განაცხადა, რომ პირველი სამუშაო გასვლა სახელმწიფო ენის დეპარტამენტს სამცხე-ჯავახეთის მხარეში ჰქონდა. მისი განმარტებით, ენობრივ უმცირესობათა განაწილებით, პროცენტულად, ყველაზე დიდი რაოდენობა სამცხე-ჯავახეთზე მოდის, კონკრეტულად, ახალქალაქსა და ნინოწმინდაზე, რაც, ენობრივი ნორმების დაცვის თვალსაზრისით, მრავალგვარი საკითხის გადაჭრას მოითხოვს. მთავარი და ამოსავალი სახელმწიფო ენის სწავლებაა. ეს არ გულისხმობს, უმცირესობებს არ ჰქონდეთ უფლება, მიიღონ განათლება საკუთარ ენაზე და შექმნან საკუთარი კულტურა. მრავალეროვნება სიკეთეა საზოგადოებასთვის. მსგავსი ტიპის კონფერენციები ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ხშირად მოვალთ. გვაქვს ყოველთვის მყოფი იმისა, რომ აქ დაგვხვდება საინტერესო ხალხი საინტერესო წინადადებებით. აქ დაგვხვდებიან ძალიან კარგად მომზადებული სტუდენტები, – აღნიშნა ქალბატონმა თინათინმა.

შეკრებილ საზოგადოებას

მივსალმა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი მარინა ბერიძე: დიდა მის პასუხისმგებლობა, რასაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტში მუშაობა გვავალდებულებს. პირველი მოთხოვნა და პასუხისმგებლობაა აბრებისა და გარენარწერების მოწესრიგება. დეპარტამენტის ფუნქციები გაცილებით დიდია. ონომასტიკა, როგორც ენობრივი მეცნიერების ყველაზე მყარი და სტრატეგიული ფორმა, რომელიც ძნელია, მოიხსენიო არამატერიალური კულტურის ძეგლად იმიტომ, რომ ამაზე მატერიალური საზღვარი, მიწა, მონიშვნა საკუთარი საცხოვრისისა და ისტორიისა არ არსებობს, ჩვენი დეპარტამენტის ყველა პრიორიტეტული მიმართულების შემადგენლობაში შედის. ამდენად, დი-

# სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია



და მსგავსი კონფერენციების ჩატარების მნიშვნელობა.

მეამაყება, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან ერთად, ფიქრობს და მსჯელობს იმ საკითხზე, რომელიც პრიორიტეტია არამატერიალური სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის, – ამ სიტყვებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გულიკო ბექაურმა, – თითოეული ჩვენგანის წვლილი მნიშვნელოვანია და ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ეს ურთულესი საქმეა, ქვეყნის გადარჩენის, ქვეყნის განვითარების სერიოზული მექანიზმია. სახელმწიფო ენის გაფართოება ყველასათვის საპასუხისმგებლო საქმეა.

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ, კონფერენციის მონაწილეთათვის გაიმართა ორი პრეზენტაცია. საინტერესო იყო საპატიო სტუმრის სტატუსით მობრძანებული ფერეიდნელი ქართველის ირანიდან სოსო მიქელაძის წიგნის „ფესვების“ პრეზენტაცია. ავტორმა წიგნი საჩუქრად უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას გადასცა. ასევე საინტერესო იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დარეჯან

უფუნადისა და სოფო გვარამაძის ხელმძღვანელობით მომზადებული პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა სამცხე-ჯავახეთში არსებულ სარეკლამო წარწერებს.

ფერეიდნელი ქართველი პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ წარადგინა. ბატონმა ტარიელმა კონფერენციის დიდ მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ ირანში, აბსოლუტურად ყველა თურქმა თუ იქ მცხოვრებმა ქართველმა იცის სპარსული ენა. თურქეთში ყველა მოქალაქემ იცის თურქული ენა. ნინოწმინდის რაიონში ორმა პროცენტმა იცის სახელმწიფო ენა. მიმართა, რომ დღევანდელი შეხვედრა ძალიან საქმიანი და საინტერესოა, რადგანაც ძალიან ბევრი პრობლემა ჩვენს ქვეყანაში ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით, განსაკუთრებით ამ მხარეში. იმედი მაქვს, რომ ყველა პრობლემა ნელ-ნელა გამოსწორდება. იქნება მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია ხელისუფლების და, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. რადგან კანონი გვაძლევს საშუალებას, პატივი ვცეთ უმცირესობებს, ასევე, პირველ რიგში, პატივი უნდა ვცეთ სახელმწიფო ენას.

ფერეიდნელმა ქართველმა, სოსო მიქელაძემ, მაღლობა მოახსენა მასპინძელ მხარეს მონვევისთვის. აღნიშნა, რომ ეს დღე მის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება: 400 წლის მანძილზე, იქაურმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა მხოლოდ მეტყველებით. 40 წლის წინ ფერეიდანში ცოტამ იცოდა ქართული წერა-კითხვა. ენას თუ დამწერლობა არ აქვს, ის ენა ან დამახინჯდება, ან გაქრება. ასეთი პრობლემის წინაშე იყო ფერეიდანში ქართული ენა.

სწორედ ამ პრობლემამ გადააწყვეტინა, შეექმნა ახალი ნიგნი, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული ანბანის შესწავლას. სამი წლის წინ, ტარიელ ფუტკარაძის დახმარებით, გამოაქვეყნა ეს ნიგნი, რომლითაც ახლა ასწავლიან ქართულ ენას. ფერეიდანში 20 წლის წინ დაიწყო პატარ-პატარა ქართული წარწერები მალაზიებზე, ახლა გვეგონება, რომ საქართველოში ხართ, ყველა ქართულად ლაპარაკობს, – აღნიშნა სტუმარმა.







**საინტერნეტო** და საქმიანი გახლდათ კონფერენციის გახსნითი ნაწილი. შემდეგ კონფერენციის მუშაობა სამ სექციაში გაგრძელდა. მეცნიერებმა მრავალფეროვანი თემატიკა წარმოადგინეს. პირველ სექციას ხელმძღვანელობდა პროფესორი **მერაბ ჩუხუა**, მეორეს – პროფესორი **რევაზ შეროზია**, მესამეს – პროფესორი **თინათინ ბოლქვაძე**. სექციების მუშაობის შედეგებისას მათ მალაღი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნაშრომებს. დასასრულს, კონფერენციის მონაწილეთ დასკვნითი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა მკა ბერიძემ:

**ძალიან დიდი მადლობა კონფერენციის თითოეულ მონაწილეს. ორი დღის განმავლობაში**

ჩემთვის დიდი პატივი იყო ყველა მოხსენების მოსმენა. ენის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ მათ მოინიშნეს ის თემები, რომლებზეც შემდგომ გამახვილებენ ყურადღებას, ასევე, ჩვენ მოვინიშნეთ რამდენიმე მიმართულება, რომლებსაც აუცილებლად განვავითარებთ. ასე რომ, თამამად შეიძლება ვთქვათ – დღეიდან დავიწყებთ, რამდენიმე მიმართულებით, იმ პრობლემების ბოლომდე მიყვანას, რაც გაჩნდა და რა პრობლემებიც კონფერენციაზე დადგა. ერთი მიმართულება იქნება სტრუქტურის ჩართულობით რასაც გავაკეთებთ. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. მეორე მიმართულება იქნება, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში საკვლევე თემატიკის დონეზე, დღევანდელი კონფერენციის

შემდეგ, რა შემუშავდება, რა თემატიკა შეიძლება დავდოთ და მესამე – ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა, რომელზეც თქვენ ისაუბრეთ, და იმ ინფორმაციას მოპოვება უნდა. უნივერსიტეტში არსებობს ტრადიცია, ძალიან მნიშვნელოვანი ექსპედიციების სახით, ექსპედიციები ძირითადი საფუძველი არის ყველა მასალისა და ინფორმაციის მოპოვების. კიდევ ერთხელ ვადასტურებ მზაობას, რომ დავგვამოთ კონფერენციებთან ერთად თემატური ექსპედიციები, სტუდენტების ჩართულობით. უნივერსიტეტი ონომასტიკის მიმართულებით და არა მხოლოდ ონომასტიკის მიმართულებით, ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებით და ჩვენი უნივერსიტეტის მისიის გათვალისწინებით, თავის სტრუქტურულ, ორგანულ ერ-



თეულად ფიქრობს ჩვენი შეხვედრების საფუძველზე ძალიან სერიოზული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ბევრად უფრო გაამყარებს ინსტიტუციურ დონეზე იმ საქმიანობას, რასაც ჩვენ ერთად ვაკეთებთ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ონომასტიკა, ონომასტიკური კვლევები იქნება ამ სტრუქტურული ერთეულის

საფუძველთა საფუძველი. მოდით, ამას მივცეთ პროექტის სახე და მე პირობას გაძლევთ, რომ ამ პროექტს გავუწევ ლობივებს უნივერსიტეტის შიგნით. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ საინტერესო კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

**ლიკა ზაზაშვილი**

## გვესაუბრებიან კონფერენციის მონაწილენი

**თინათინ ზოლქვაძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი, პროფესორი:**

ძალიან დიდი მადლობა, რომ დაინტერესდით ჩვენი აზრით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ამ ტიპის კონფერენციას, რომელიც ეხება ენობრივ პრობლემებს. ამჟამად ამ კონფერენციას ჰქონდა კონკრეტული მიზანი – შეეფასებინა ის მდგომარეობა, რომელიც არის შექმნილი სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკასთან ანუ სახელებთან დაკავშირებით, ყველა ტიპის სახელი, ეს იქნება გეოგრაფიული სახელი თუ პირის სახელი.

სამი სექცია მუშაობდა ამ მიმართულებით. სექცია, რომელსაც მე ხელმძღვანელობდი, ეხებოდა არა მხოლოდ ონომასტიკის საკითხებს, არამედ ენობრივი პოლიტიკის საკითხებსაც. იყო რამდენიმე ისეთი მოხსენება, რომელიც განიხილავდა, მაგალითად, ორენოვანი განათლების პრობლემებს, ტრანსკრიპციატრანსლიტერაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, განიხილავდა ონომასტიკას არა მხოლოდ დღევანდელს, არამედ ისტორიულად როგორც იყო რეგიონის ონომასტიკა, როგორ იცვალა იგი და რა უნდა გააკეთოს ენის სახელმწიფო დეპარტამენტმა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ამ ცვლილებებს. ზოგიერთი ისეთი ოდიოზური სახელია შემორჩენილი სოფლის სახელებში, მაგალითად – „უდანოკვა“, „ეჟოკვა“... დიდხანია, არცერთი მათგანი აღარ არიან ჩვენი გმირები. ამდენად, გაუმართლებელია ამ სახელების დარჩენა სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკაში. არა მგონია, ადგილობრივი მოსახლეობა ამის წინააღმდეგი იყოს იმიტომ, რომ არც საქართველოს, არც სომხეთის ისტორიაში ამ პიროვნებებს დიდი როლი არ ჰქონიათ. ასეთი საკითხების გარდა, ჩვენ მოვინიშნეთ ისეთი საკითხები, რომლებიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა განიხილოს საგნად უნდა აქციოს, როგორცაა, მაგალითად, ორენოვანი განათლების პრობლემები საქართველოში, საერთოდ – საგანმანათლებ-

ლო პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, ონომასტიკურ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შექმნა. ჩვენდა სამარცხვინოდ, ასეთი დიდი ეტიმოლოგიური ლექსიკონი არა გვაქვს. არის გარკვეული რაიონები, რომლებიც შესწავ-

ურად უნდა ხორციელდებოდეს ცხოვრებაში. ეს ჩვენი – ენის სახელმწიფო დეპარტამენტის პრობლემაა.

**ზაზა აშირანაშვილი, მხარის რწმუნებულ-გუბერნატორი: სამცხე-ჯავახეთის გუბერ-**



ნია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს იმ საკითხების მოგვარებაში, რაც კონფერენციაზე დაისვა. ეს, მართალია, ერთი ხელის მოსმით არ ხდება, მაგრამ ჩვენ ვიზრუნებთ, რომ რეგიონში დაცული იყოს კანონი სახელმწიფო ენის პოლიტიკის შესახებ.

**ტარიელ ფუტყარაძე, პროფესორი:** კონფერენცია იყო ძალიან საინტერესო, რამდენადაც ძალიან დიდი ხანია, საქართველოში მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულების საინფორმაციო ომი. საინფორმაციო ომი თანამედროვე ჰიბრიდული ომის ნაწილია და მეცნიერება მუდამ გამოყენებულია საინფორმაციო ომში. ამიტომ არსებობს მეცნიერება, რომელიც ორიენტირებულია, ვთქვათ, რუსულ იმპერიაზე, მეცნიერება, რომელსაც ავითარებს მეზობელი ქვეყნები. ყოველთვის შეიძლება არ იყოს ეს ყველაფერი ფსევდომეცნიერება, რალაცაში მართალია ესა თუ ის მეცნიერი, რალაცაში უმატებს სუბიექტურს და საბოლოო ჯამში ჰქმნის სამეცნიერო ბაზას, თავისი პოლიტიკური ინტერე-

სებიდან გამომდინარე. ამას ჰქვია ჰიბრიდული ომში მეცნიერების გამოყენება. მე ამას ვეძახი სამეცნიერო დივერსიას. ამ კონტექსტშია გასაზრებელი, მაგალითად – ონომასტიკური დივერსიები, ონომასტიკური ომები, რომელიც მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში ზოგადად და, რა თქმა უნდა, საქართველოს წინააღმდეგაც აქტიურ ფაზაშია ონომასტიკური ომები, ონომასტიკური დივერსიები. მაგალითად, ტოპონიმთა გაყალბებით ცდილობენ, ისტორიულად თავიანთ საკუთრებად გამოაცხადონ საქართველოს ტერიტორიის ეს თუ ის ნაწილი, ამა თუ იმ ქვეყანამ. ასეთი საინფორმაციო ომების კონტექსტში დამოცემულ შემთხვევაში – ონომასტიკური ომისა თუ ონომასტიკური დივერსიის კონტექსტში, აუცილებელია ასეთი კონფერენციების მასალების გამოქვეყნება ხვადასხვა ენაზე და აუცილებელია აკადემიური პასუხის გაცემა, რომელიც უნდა იყოს არა ურაპატრიოტული, როგორც გვაქვს ხოლმე ზოგიერთ შემთხვევაში. არ უნდა წავუყრუოთ, ასე ვთქვათ – მტრის საინფორმაციო შემოტევას, არამედ აუცილებელია, გავცეთ არგუმენტირებული პასუხი, არგუმენტირებული საერთაშორისო ინფორმაციებით, ცივი გონებით დაბალანსებული, რადგან, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი დისკუსია, ნებისმიერი კამათი მიღის ან ომამდე, ან ვიღაც ამ კამათში უკან დაიხევს და გაჩერდება. კამათში უკან დახევა სჯობია ომში ჩართვას. ომში ზარალდება ყველა მხარე. ამიტომ, სამეც-

ნიერო ომს თუ მოიგებ, აღარ დაგჭირდება ომის წარმოება, ომში დამარცხება თუ გამარჯვება. რომც გაიმარჯვოს მოცემულმა სახელმწიფომ, მაინც ბევრი აქვს დანაკარგი, ხომ ასეა? ამიტომ, აუცილებელია სამეცნიერო ველის გაძლიერება ხელისუფლების მიერ, რომ ნაკლები ომები დაჭირდეს ჯარს.

**მარინა ბერიძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, პროფესორი:**

ეს კონფერენცია არის ტრადიციის მქონე კონფერენცია, საკმაოდ მაღალი დონის, სამეცნიერო დონის და გამორჩეულია კიდევ იმითი, რომ ამ შემთხვევაში ვმონაწილეობ განსხვავებული სტატუსით – როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. ფაქტობრივად, ჩემი აქ ყოფნის მიზანი არის არა მხოლოდ მოხსენების წარდგენა, რომელიც აქ წავიკითხე, არამედ კოლეგებისთვის გაცნობა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის გეგმებისა და იმის თქმა, რომ ამ საქმეში უმნიშვნელო ადგილი არ უჭირავს ონომასტიკისა და ტოპონიმის საკითხებს. მოგესხენებათ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი 5-6 თვეა, რაც შეიქმნა; ჩვენი განწყობა არ არის პოპულისტური, ჩვენ არ ვმუშაობთ პიარისა და სმაურის მიმართულებით. კოლეგებს ხანდახან ემჩნევათ ხოლმე რალაც მოუთმენლობა და სვამენ კითხვებს – მათი მოლოდინი გამარტოლდება თუ არა. ამიტომ, სა-

**გაგრძელება მე-6 გვ.**



# გვისაუბრებთან კონფერენციის მონაწილენი

მე-5 გვერდიდან

მეცნიერო გარემოში და არა რალაც სხვა ტრიბუნადან, სხვა ტიპის მიკროფონიდან, ყოველთვის სასიამოვნო და საქმიანია ასეთი საუბრები იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვხვდებით პრობლემებს, რომლებიც, კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე, პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიზნებსა და გეგმებს, დებულებებით განვირგნოთ ამოცანებს.

სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა არის თემა ამ კონფერენციისა. ძალიან ბევრი საკითხი დაისვა, რომელსაც ჩვენ შევხვდეთ სხვა კუთხით, ძალიან ბევრ საკითხთან მიმართებაში გაგვიჩნდა აზრი, რომ ჩვენ სწორად ვფიქრობდით და მიმდინარე სამუშაო, რომელსაც დეპარტამენტი ეწევა, სწორად გვაქვს გათვალისწინებული. გარდა ამისა, მოგვეცა საშუალება, კოლეგებისთვის გვეთქვა, რომ ჩვენ ვფიქრობთ და ეს საკითხები მრავალწლიანი ძიიდან გამომდინარე სტადიაშია. მათაც ვატყობ კმაყოფილებას და სიმშვიდეს ამის გამო. მოკლედ, ჩვენ ერთმანეთს ვუთხარით, რომ ვიცნობთ და არ გვაგვიწყდება ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ დარგთან დაკავშირებულია საჯარო სამსახურში. დიდი მადლობა საინტერესო კონფერენციისთვის, სადაც კარგად გამოჩნდა ჩვენი ყველა პრობლემა, ჩვენი უნარები, თუ რა შეგვიძლია და როგორ შეგვიძლია მათი მოგვარება.

**რეზა შეროზია**, პროფესორი: დიდი ხანია, ვმონაწილეობ ასეთი ხასიათის კონფერენციებში და ვიცი, მისი ფასი ძალიან დიდია არა მარტო ამ რეგიონისათვის, არამედ საქართველოსათვის, ზოგადად. რაც აქ მოხსენებები გამოგვაქვს ჩვენ, რასაც ერთმანეთს ვუზიარებთ, ყველა ემსახურება იმ საერთო საქმეს, რასაც, ვთქვათ, ჩვენი ენისა და კულტურის განვითარება გულისხმობს. მე სიამოვნებით ჩამოვიდვიარ იმიტომ, რომ, ვთქვათ, მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ მხარდაჭერა სჭირდება არა მარტო უნივერსიტეტს, არამედ აქაურობას, იმ გამონვევების შესაბამისად, რაც არსებობს. ახალადაც, გუშინდელ და დღევანდელ სხდომებზე მოხსენებებში აშკარად გამოიკვეთა, რა პრობლემებიც გვაქვს ჩვენ. ამიტომ, თუ არა მარტო ადგილობრივი კადრი, არამედ სხვა უნივერსიტეტები მიიღებენ მონაწილეობას და ქმედით საშუალებებს გამოიხატავენ საჭირო კვლევების თვალსაზრისით, მაშინ ეს იქნება დახმარება, მონაწილეობა ყვე-

ლაფერი იმის აღდგენისთვის, განვითარებისთვის, რაც ამ კუთხეს სჭირდება და რაც საქართველოს სჭირდება, ზოგადად. ამიტომ, მე დიდი სიამოვნებით ჩამოვიდვიარ და, თემატიკის გათვალისწინებით, რაზეც მე ვმუშაობ, წარმოვადგინო ხოლმე მოხსენებას. ამავე დროს, ვთანამშრომლობ ამ უნივერსიტეტში გამომავალ ჟურნალში „არავი“. შინაარსობრივად მშვენიერი ჟურნალი გახლავთ და მასში მონაწილეობა მემამყება. ანუ ყველაფერს აქაურს, მე განვიხილავ, როგორც საერთო ქართველურს და ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საქმეც არის. მე ისეთივე ახალციხელი ვარ, როგორც მერაბი ან სხვა აქაური. ასე მგონია, არავისზე ნაკლები ახალციხელი არ ვარ.

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**, პროფესორი: მე ახლო ურთიერთობა მაკავშირებს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან და შემოიძლია ვთქვა, რომ ამ უნივერსიტეტმა გაიარა და დასძლია ყველა სიძნელე და თითქმის ყველა რეგალია მოიპოვა. წარმატებები არის როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურასა და დოქტორანტიურაშიც. ეს არის ძალიან მძლავრი საგანმანათლებლო კერა სამცხე-ჯავახეთში. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტიპის სასწავლებლები ჩვენი გამარჯვების საწინდარია.

რაც შეეხება მეცნიერულ პროდუქციას, უნივერსიტეტში ძალიან ობიექტურად არის წარმოდგენილი როგორც ჰუმანიტარული, ისე ტექნიკური მეცნიერებები, ბიზნესის მიმართულება და უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. ვმეგობრობ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და მინდა, რომ გაგრძელდეს ეს ურთიერთობა.

კონფერენცია ჩატარდა უმაღლეს დონეზე. ეს იყო თემატიკური კონფერენცია. ობიექტური მასალები წარმოადგინეს მეცნიერებმა. მეც გამოვიტანე თემა ასეთი სათაურით: **„სიტორიული მიგრაციები სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლში და ონომასტიკის საკითხები“**. მე ქართლში ვმოღვაწეობ, გორის სასწავლო უნივერსიტეტში და ქართლში მცხოვრები სამცხე-ჯავახეთის წარჩინებული გვარები წარმოვანიხი. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ მოხსენებამ კონფერენციის მონაწილეთა მონაწილეობა დაიხსია. კვლავაც წარმატება მინდა ვუსურვო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ასეთი საინტერესო კონფერენციის ჩატარებისთვის მადლობა გადავუხადო მის ორგანიზატორებს.

# რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შესახებ გვისაუბრება რეპტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ პერიძე

**ჩატარდა** რესპუბლიკური კონფერენცია სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში. უკვე რამდენიმე წელია, ტარდება ეს კვირეული და ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს მასში. სამეცნიერო კონფერენცია წელს განსხვავებული იყო. მართალია, ის ონომასტიკას შეეხებოდა და ამ ტიპის კონფერენციები ჩვენ ბევრი გვქონია, მაგრამ ამჯერად შეზღუდული იყო თემატიკურად. კერძოდ, ასეთი თემა შევარჩიეთ – **„სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა“**. მოგვხსენებთ, ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის ყოფის, არსებობის, მისი ცხოვრების უმთავრესი ნიშანია. ქვეყანას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თავისი ენობრივი პოლიტიკა. როგორ ენობრივ პოლიტიკას ატარებს ესა თუ ის ქვეყანა, ამაზე დამოკიდებული ბევრი რამ, ამაზე დამოკიდებული სახელმწიფო ენის პრობლემა, მოსახლეობის ენობრივი კუთვნილების საკითხი, ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი სახე და ასე შემდეგ.

დიდ სახელმწიფოებს სხვადასხვა ტიპის პრობლემები აქვთ ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ენობრივი პოლიტიკის საკითხი არც ჩვენი სახელმწიფოსთვის არის უმნიშვნელო. ეს იმიტომ არის განპირობებული, რომ ოდითგანვე ჩვენი ქვეყანა მრავალენოვანი იყო. ჩვენში ისეთ ლეგენდებს ქმნიან, თითქოს მოდიოდნენ, დაგვიპყრობდნენ, მერე დარჩებოდნენ და ასე შემდეგ. საკითხს ასე არ უნდა შევხედოთ. ჩვენ ვართ ტოლერანტი ქვეყანა. ჩვენ, უპირველესად, ბევრ გზაბნეულს შევიფარებდით ხოლმე, თავისი ქვეყნიდან გამოყრილს. დღევანდელი მდგომარეობაც ამისი მაგალითია – სირიიდან, ალმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან და ასე შემდეგ, შემოდიან, მაგრამ განსხვავებული მოდის ვინმე და იარაღით?! მოდიან საცხოვრებლად, თხოვნი, რომ შევიფაროთ და მივცეთ ადგილსამყოფელი, შეიძლება ითქვას – ლუკმაპური.

ყველაფერს თავისი ენობრივი პოლიტიკა სჭირდება და თუ ქვეყანას თავისი ენობრივი პოლიტიკა არ გააჩნია, რთულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს. საამისოდ არსებობს რამდენიმე გზა. პირველი – გამოყენების თვალსაზრისით, უნდა აიღოს რომელიმე დიდი ენის, დიდი ერის ენა და ის თავისთვისაც და სხვისთვისაც აქციოს საერთო ენად. ასეთი რამ იყო საბჭოთა პერიოდში, როდესაც რუსულ ენას ვიყენებდით. მართალია, მაშინ სახელმწიფო ენის სტატუსი ჩვენს ენას ჰქონდა, მაგრამ უფრო დიდი სტატუსი ჰქონდა რუსულ ენას და, აქედან გამომდინარე, რუსული ენის ცოდნა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ქართული ენის. ახლა თითქოს იგრძნობა, რომ ამას ინგლისური უნდა ჩაენაცვლოს, მაგრამ ეს მარტივი არ არის. ეს მხოლოდ ვინმეს ან პოლიტიკის იმედზე და დონეზედაც არ წყდება მხოლოდ. მე გავიხსენებ, მაგალითად, რამდენი საუკუნე იყო არაბობა და არაბული ენა ისმოდა ჩვენთან, რამდენ ხანს იყვნენ სპარსელები, თურქული ენა

როგორი პოპულარული იყო ჩვენს ქვეყანაში, აღარაფერს ვამბობ რუსულზე, მაგრამ გადის დრო და შემდეგ ყველაფერი პოულაბს თავის ადგილს, ამ ენები-ღობს რჩება რაღაც პროგრესული, მნიშვნელოვანი, რომელიც ენის ფონდში შედის, დანარჩენი ისტორიას მიაქვს. დღეს უკვე აღარავინ ხმარობს – „ხოშკელდის“, „სპიჩკას“, „პოლს“, „სტაქანს“ და ასე შემდეგ. ამ ტიპის ლექსიკა ჩვენს ენაში საკმაოდ მიუღებელია და რაღაც პროვინციალურ ელფერს იძენს, ვინც ამ ლექსიკას მოიხმარს.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ენა დღეს, თავისი ფუნქციით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. აქედან გამომდინარე, კონფერენციისთვის ჩვენ ავირჩიეთ სწორედ ეს საკითხი, რომ სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის ქვეშ ჩვენი რეგიონის – სამცხე-ჯავახეთის



# „სახელმწიფო ენა, თავისი ფუნქციით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს“

ონომასტიკა წარმოგვეჩინა. ონომასტიკას განმარტება არ სჭირდება, უბრალოდ, საკუთარი სახელია. ქართულში საკუთარი საზოგადო ისე, როგორც ნებისმიერ ენაში, ორი საპირისპირო სახელს, საკუთარი და საზოგადო სახელები ქმნიან ენის ლექსიკურ ფონდს. აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფოს თავისი ენობრივი პოლიტიკა რიგზე აქვს, ონომასტიკური პრობლემებიც რიგზე აქვს. ვგულისხმობ რას? დღეს, მაგალითად „უდანოვაკანი“, „ეფოვაკანი“ რომ ერქმევა სოფელს, ვფიქრობ, სირცხვილია. ეფოვი და უდანოვი კი იცით, ვინც იყვნენ. მე არ მინდა, ვილაცამ ისე გაიგოს, თითქოს ორმაგ სტანდარტს ვთამაშობთ ჩვენ. არა, ბატონო. ჩვენ ჩვენი პოზიცია უნდა დავაფიქსიროთ და ეს არ არის მსოფლიო სტანდარტებიდან ამოვარდნილი სტანდარტები, თვით რუსული სტანდარტებიდან არ არის ამოვარდნილი. რატომ არ დატოვებს რუსებმა „ლენინგრადი“, რატომ შეუცვალეს მას სახელი, რატომ არ დატოვებს „სტალინგრადი“ და ასე შემდეგ. ბევრ ქალაქს, რომელთა სახელები რევოლუციური სახელებთან იყო დაკავშირებული, ბუნებრივია, გადაარქვეს იმიტომ, რომ არ იყო ეს ბუნებრივი. ეს სერიოზული პრობლემაა.

სერიოზული პრობლემაა – როგორ დაინეროს არაქართული გვარები ქართულად, როგორ დაინეროს ინგლისურად. აი, ამ ყველაფერს ეძღვნებოდა ეს კონფერენცია, ასევე, ბევრ სხვა საკითხს, რომელიც გააჩნია მომძლავრებულმა ფირმების, სასტუმროებისა და ამ ტიპის სახე-

ლებმა. როდესაც ადამიანი „ტიფლისს“ დაარქმევს თავის ობიექტს, ეს მის მენტალიტეტზე მეტყველებს, მის განათლებაზე მეტყველებს. ამავე რიგის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. აი, ამ საკითხებსაც ეძღვნებოდა ეს კონფერენცია. თითქოს, ვისაც რა უნდა, ის დაარქვას, რა მოხდაო, ფიქრებს ზოგიერთი. კი ბატონო, დაარქვას, ვისაც რა უნდა, მაგრამ ის გარკვეულ ენობრივ კანონებში უნდა იჯდეს აუცილებლად.

მოსაზრული ვარ, რომ ამჯერად კონფერენცია მოამზადა და ორგანიზება გაუწია ჩვენმა უნივერსიტეტმა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადმინისტრაციამ. სამი სერიოზული და მსხვილი ორგანიზაციის პატრონაჟით მიმდინარებდა კონფერენციის მუშაობა. შემთხვევითი არ იყო, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტიდან, მიუხედავად იმისა, რომ თავად დეპარტამენტის ხელმძღვანელი – გიორგი ალიბეგაშვილი ვერ ჩამოვიდა, მისი მოადგილე-

ბი, შესაბამისი სამსახურების უფროსები და წარმომადგენლობა სოლიდური იყო. მათ მოხსენებები ჰქონდათ, ასევე, იმ პრობლემებზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ ახლა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი რეგიონი მთლიანად – მხარის გუბერნატორი, დეპუტატი, ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქის მერი, მისი მოადგილეები და სხვა. კონფერენციის თემა იყო საერთო დაინტერესების თემა, ყველასი – მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი, სერიოზული დამსახურებაა ჩვენი რეპტორისა, რომელმაც ამ ყველაფერს სერიოზული და საინტერესო მიმართულება მისცა. ის, რომ ასეთი ორგანიზებული იყო და ყველაფერი მაღალ დონეზე შესრულებული, ეს მისი პირადი დამსახურებაა. ამას გარდა, მასში ჩვენი პროფესორი მონაწილეობდა და ჩამოსული იყვნენ სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებიდან. ჩვენ უარი ვთქვით კონფერენციის მასიურობაზე. აქამდე ჩვენ ასაკაციანი კონფერენციები ჩავგიტარებია, მაგრამ ამჯერად შევზღუდეთ, ყველა ონომასტიკური პრობლემას კი არ შევეხეთ, არამედ იმ პრობლემებს, რომლებიც რეგიონს ეხება. ამაზე ბევრი არ მუშაობს, ბუნებრივია, ვინც მუშაობს და ვისაც აინტერესებს ეს ყველაფერი, ვისაც ჭკუა მოეკითხება ამ საქმეში, ის ხალხი იყო მონაწილე. ამიტომ, კიდევ უფრო კომპაქტური, შეკრული და საინტერესო გამოდგა კონფერენცია.



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მატარებულ ტექნიკური გაზის გასაშვობის დასრულების დასახელებული სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი როინ თათაშვილი.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, მატერიალური რესურსების რაციონალურ მართვას და, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის განახლება-შენარჩუნებას.

მოგვხსენებთ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2019 წელს უნევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი, რომლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს.

პირველ სასწავლო კორპუსში, უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე, იყო პრობლემა ზამთრის სეზონზე გათბობასთან დაკავშირებით. კორპუსის დერეფნებსა და სველ წერტილებში არ არსებობდა გათბობის სისტემა. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გადაწყდა, რომ მომხდარიყო ამ სისტემის რეაბილიტაცია. ჩატარდა ძველი საქვების, რომელიც არ ფუნქციონირებდა, ქვანახშირზე და მაზუთზე მომუშავე ქვების დემონტაჟი. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო მასალებისა და დანადგარების (აირზე მომუშავე გათბობის ქვაბი, ქვაბის შესაბამისი აირის სანთურა, საციკლოლო ტუმბოები, თუჯის სარქველები, პანელური რადიატორები, მინაბოჭკოვანი მილები და სხვა მასალები) შეძენა მოხდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით. აღნიშნული სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება, გარკვეულწილად, გააუმჯობესებს გათბობის სისტემის მუშაობას. მოხდა მათი დამონტაჟება. თუმცა, შემდგომში აუცილებელი იქნება კორპუსის კაბინეტებსა და აუდიტორიებშიც შეიცვალოს არსებული,

მოძველებული, არაეკონომიური სისტემა.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ტექნიკური რეგლამენტის შესა-

ხებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნათა სრული დაცვით, უნივერსიტეტის პირველ და მეორე სასწავლო კორპუსებში მოეწყო უნარშეზღუდულთათვის პანდუსები და შესასვლელი კარები. პირველი სართულის სველ წერტილს ჩაუტარდა მთლიანი რეკონსტრუქცია და კეთილმოეწყო იგი. სპეციალურად, მეორე სართულზე ქალბატონებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძისთვის შეიქმნილი იქნა წყლის გამაცხელებელი, რომელიც უახლოეს დღეებში დამონტაჟდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს პირთათვის ადაპტირებული კორპუსისთვის აუცილებელია, შენობას ჰქონდეს მოთხოვნების შესაბამისი ლიფტები. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს ლიფტის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნული სამუშაოების საფარად ღირებულება გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში.

ცნობილია, რომ უნივერსიტეტში, წლების განმავლობაში, აქტიურად ფუნქციონირებდა გამომცემლობა, თუმცა, არახელსაყრელ სამუშაო პირობებში. სტამბის სამუშაო ფართს, რომელიც ერთ ოთახს მოიცავს, ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და გაიმიჯნა ერთმანეთისგან მანქანა-დანადგარების

სა და მომუშავე პერსონალის სივრცეები, რითაც რადიკალურად გაუმჯობესდა პერსონალის სამუშაო პირობები.

პირველი სასწავლო კორპუსის შიდა ეზოში, სპორტულ დარბაზთან, დაიდგა სკამები, მაგიდები, რითაც მოეწყო სტუდენტებისა და პერსონალისთვის დასასვენებელი ადგილი.

ასევე, მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა მეორე სასწავლო კორპუსში და მისი ეზოს ტერიტორიაზე. მოგვხსენებთ, რომ სამცხე-

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ახალქალაქის სასწავლო კორპუსი, სტუდენტების საერთო საცხოვრებელი. შეიცვალა სასმელი წყლის მილსადენები, ეზოში მოეწყო დეკორატიული სასმელი წყლის წყარო, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტერიტორიის გარე განათების ქსელს. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა საქვებს.

ასე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ როგორც ახალციხეში, ისე ახალქალაქში

უნივერსიტეტს, რა თქმა უნდა, აქვს ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, მაგრამ ხშირად არის მის მიწოდებაში შეფერხებები. სასწავლო პროცესისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ძირითადი სამსახურების საქმიანობის შეფერხებლად წარმართვის მიზნით, შექმნილ იქნა და დამონტაჟდა ალტერნატიული, ელექტრომომარაგებისათვის საჭირო გენერატორი.

წესრიგის დაცვის მიზნით, შენობა-ნაგებობების მთლიანად გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟდა ვიდეოჩანანერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. დამონტაჟდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ელექტრონული აღრიცხვის აპარატი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველი სასწავლო კორპუსის სახურავი არის ამორტიზებული. ის უნივერსიტეტის გახსნის დღიდან არ შეცვლილა. ხშირად გვიხდება დაზიანებული ადგილების შეკეთება. ვფიქრობთ, რომ შემდგომი სამუშაოების განხორციელების დაგეგმვისას, აღნიშნული სახურავის შეცვლა იყო პრიორიტეტი. ვცდილობთ, მოვიძიოთ დამატებითი თანხები ამ საქმიანობისთვის. ჩვენ, შიდა ძალებით, ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე, მოვამზადებ ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

უნივერსიტეტში, სამეცნიერო კვლევებისათვის გამოყოფილი შიდა განტების ფარგლებში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობით, წელს პირველად განხორციელდა სამეცნიერო აქტივობები, რისთვისაც გამოიყოფინა უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი. განხორციელდა გარკვეული სახის შესყიდვები, რათა შეუფერხებლად და სრულყოფილად წარიმართოს კვლევები.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოვახსენო ყველა იმ პირს, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ სამუშაოების განხორციელებაში და დახეჯითებით განვაცხადო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის არის ორიენტირებული სიახლეებსა და განვითარებაზე.

# ტოგოტ სედეზა უნივერსიტეტი ავტორიზაციის პრეტესს



ჩაატარა სოლიდური, მოცულობითი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

უნდა აღინიშნოს, რომ განხლდა შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზები, რომელიც არ იყო იმ სტანდარტების შესაბამისი, ავტორიზაციის ნორმები რომ გვიყენებს. ვაკეთდა პირველი, მეორე სასწავლო კორპუსებისა და საერთო საცხოვრებლის ახალი ნახაზები. გაიმიჯნა სასწავლო და დამხმარე ფართები.

შექმნილ იქნა დამატებითი კომპიუტერები და მონიტორები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას. ასევე, მოეწყო დამატებითი საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე.

## ინფორმაცია

● 5 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, გაიმართა საბაკალავრო პროგრამების პრეზენტაცია.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ფაკულტეტის დეკანები, ცალკეული პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტები. ფაკულტეტების დეკანებმა, პროფესორებმა – გულიკო ბექაურმა, ცისკარა ზარანდიამ, გიორგი მესხმა, მალხაზ ლომსაძემ, პროგრამის ხელმძღვანელებმა – პროფესორმა ირმა ქურდაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა გულიკო ჯანოვამ სტუდენტებს გააცნეს თავიანთ მიმართულებებზე არსებული პროგრამები და ვაკანტური ადგილები. ახლა ჯერი სტუდენტებზეა. მათ სრული უფლება აქვთ, თავისუფლად აირჩიონ მათთვის სასურველი სპეციალობები.

● 5-6 სექტემბერს შედგა სამუშაო შეხვედრა – „პროფესიული განათლების მასწავლებლის და ექსტენციონის-განხორციელება“, სადაც ჩართულნი იყვნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებიდან და უნივერსიტეტის განათლების მიმართულებიდან.

2017 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტ „Modernization of the Vocational Extension Systems Related to Agriculture in Georgia“-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, შემუშავდა აგრარული მიმართულებით პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლისა

და ექსტენციონის მანორ პროგრამა ბერნის უნივერსიტეტის გამოყენებით მეცნიერების უნივერსიტეტის პროფესორ რობერტ ლემანის კონსულტირებით. პროგრამის შემუშავებას ხელმძღვანელობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა უნივერსიტეტებისა და შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით. პროექტის პირველ ეტაპზე შემუშავდა პროგრამის სრული პაკეტი. ამჟამად, ხორციელდება მეორე ეტაპი, რომელიც გულისხმობს რეგიონული უნივერსიტეტების მხარდაჭერას, მაინორ პროგრამის დანერგვის მიზნით.

● 28 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდა Erasmus+ -ის საქართველოს ეროვნული ოფისის კო-

ორდინატორი ლიკა ლლონტი. შეხვედრა განხორციელდა უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

სტუმრობის მთავარი მიზანი იყო Erasmus+ -ის შესაძლებლობების გაცნობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთათვის, როგორც პროექტების, ისე მობილობების მიმართულებით. პრეზენტაცია მოიცავდა ვრცელ ინფორმაციას სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საზღვარგარეთ მობილობებთან დაკავშირებით.

ამაჟამად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ -ის ინსტიტუციური განვითარების სამ პროექტში და ახორციელებს ერთი მობილობის პროგრამას რუმინეთის იაშის უნივერსიტეტთან.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან



**14 სექტემბერი** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრებმა, ორი საკითხი განიხილეს. პირველი – განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების, მეორე ეხებოდა ამავე ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის **ნათელა მელიქიძის** სადისერტაციო ნაშრომის „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“ წინასწარ დაცვას. თემის ხელმძღვანელი – პროფესორი **მერაბ ბერიძე**, რეცენზენტები – ფილოლოგიის დოქტორები: **ქეთევან გოდერძიშვილი** და **მურად კემულარი**. საბჭომ უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა.

სხდომა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა გულიკო ბექაურმა გახსნა. განსახილველი საკითხების გაცნობის შემდგომ, აღნიშნული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭება საბჭოს წევრებმა ხელის აწევით დაადასტურეს.

მეორე საკითხის განხილვას, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი **ნათელა მელიქიძე** და სადისერტაციო საბჭოს დებულების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი **მერაბ ბერიძე** გაუძღვა. დამსწრე საზოგადოებას დოქტორანტი ნათელა მელიქიძე სადისერტაციო საბჭოს მდივანმა **ლამზირა კობაიძემ** წარუდგინა. ქალბატონი ნათელას საქმიანობის გაცნობის შემდგომ, ქალბატონმა **ლამზირამ** განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელისაგან მიღებული დასკვნა, რომელშიც, ნაშრომის საერთო შეფასებასთან ერთად, აღნიშნულია, რომ სადისერტაციო ნაშრომს მიეცეს მსვლელობა და წარდგენილ იქნას წინასწარი განხილვისთვის. ასევე, სადისერტაციო ნაშრომის შესახებ მიღებული ორი რეცენზია. უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი გადაეცა პლაგიატის დამდგენ კომისიას შესწავლისათვის. დასკვნაში წერია, რომ ნათელა მელიქიძის სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატი არ ფიქსირდება.

შემდეგ სადისერტაციო ნაშრომით დამსწრე საზოგადოების წინაშე ნათელა

## პირველი ქართველოლოგიური სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა უნივერსიტეტში



მელიქიძე წარსდგა. დოქტორანტმა ნაშრომის აქტუალობაზე, პრაქტიკულ ღირებულებებზე, მიზანზე, შინაარსზე, სიანხლებზე, სტრუქტურაზე, შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

სამეცნიერო ნაშრომი შეაფასეს რეცენზენტებმა – ქეთევან გოდერძიშვილმა და მურად კემულარიამ.

**ქეთევან გოდერძიშვილი** აღნიშნა, რომ დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ორმაგად მნიშვნელოვანია. იგი ეხება ლინგვისტიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორცაა ანთროპონიმოლოგია. ასევე, დისერტანტის ნაშრომი მრავალსიმომცველია. ამიტომ, ურჩია დოქტორანტს, შეეცვალა ნაშრომის სათაური, რადგან ნაშრომში უფრო მეტია ნათქვამი, ვიდრე ანთროპონიმოლოგია. მისი აზრით, თემა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საკვლე რეგიონად აღებულია საქართველოს მნიშვნელოვანი და ძირძველი მხარე სამ-

ცხე-ჯავახეთი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაცვა ხდება სამცხეში, რომელიც უფრო ადრე წარმოადგენდა ქართული სულიერების, კულტურისა და განათლების კერას. ვფიქრობ, რომ აქ სადისერტაციო საბჭოს არსებობა გამოძახილია სწორედ ამ ძველი კულტურის. გილოცავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი ქართველოლოგიური სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ბედნიერებას. მადლობა, რომ მომინვეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული დისერტაციის რეცენზენტად.

**მურად კემულარი** რეცენზია, სადისერტაციო საბჭოს მდივანმა **ლამზირა კობაიძემ** წარადგინა. ყველა თავი, ყველა საკითხი მეცნიერული ალღოთა განხილული. ნაშრომი წარმოადგენს სერიო-

ზოკვლევას. ნაშრომს უნდა მიეცეს მსვლელობა გათვალისწინებული ეტაპების მიხედვით, რის შედეგადაც დისერტანტს მინიჭება საძიებელი ხარისხი.

ნათელა მელიქიძეს სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი წარმატებული დაცვა მიულოცეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაცა ბერიძემ**, პროფესორმა **ინგა ლუტიძემ**, ასოცირებულმა პროფესორმა **მაია ქუქჩიშვილმა**.

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ დისერტანტის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი იქნება პირველი, რომელიც ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად არის შექმნილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში: **მნიშვნელოვანია, გვყავდეს კურსდამთავრებული ამ მიმართულებითაც, რადგან დღეს იწერება ისტორია ჩვენი სადისერტაციო საბჭოსი, ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის ისტორია ახალი მიმართულებით სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა. დღევანდელი დღე არის ნიმუში, თუ როგორ უნდა იმუშაოს თემის ხელმძღვანელმა დოქტორანტთან. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ეს ზუსტად ესმის დოქტორანტს და სწორად წარმოადგენს ნაშრომს. ეს არის სამაგალითო, თუ როგორ შეიძლება იმუშაოს წინასწარი დაცვისთვის ოპონენტებთან დოქტორანტმა. საიმოვნებით დავფიქრებთ თემის დაცვას და ვუსურვებთ წარმატებას ქალბატონ ნათელას. მხარს ვუჭერ იმას, რომ წარმოადგენილ დისერტაციას მიეცეს მსვლელობა.**

**დღეს არის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. ვუყაროთ კენჭი, თუ ვართ მომხრე, ნაშრომს რომ მიეცეთ შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება,** – მიმართა საბჭოს წევრებს შეფასებების შემდგომ სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**.

ნათელა მელიქიძის თემამ ერთხმად დაიმსახურა დადებითი შეფასება და მიეცა მსვლელობა შემდგომ ეტაპზე გადასვლისა.

**ზულ კვლევას და აუცილებელია მისი ნიგნად გამოცემა არამარტო ქართულ, არამედ თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზეც. მისაბაძი და მისასაღმებელია ნათელა მელიქიძის ასეთი მაღალი დონის ნაშრომის შექმნა მომავალი თაობებისთვის. ყველა მონაკვეთი ერთმანეთთანაა შერწყმული, რაც ქმნის სერიოზულ გა-**



**მეცნიერებისა** და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, 26 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა „ღია კარის დღე“, რომელსაც რეგიონის აბიტურიენტები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

მოზრდნებულ სტუმრებს შეხვედრის მიზნებსა და ამოცანებზე ესაუბრა უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაცა ბერიძე**.

**მიხარია, რომ ძალიან ბევრი იყო იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებსაც სურდათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გამხდარიყვნენ. აბიტურიენტებმა კარგად გაიგეს, რომ დღეს მნიშვნელობა აღარ აქვს ადგილს, თუ სად მიიღებენ განათლებას,** – აღნიშნა რექტორმა და დასძინა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გახდეს, ეს ნიშნავს – სახლთან ახლოს

## სიახლე აბიტურიენტებისთვის

მიიღო ხარისხიანი განათლება, ასევე, ამ უნივერსიტეტის სტატუსით აღმოჩნდე ევროპის ბევრ უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამაზე. ამ უნივერსიტეტის სტუდენტებს ასეთ პროგრამებზე მოხვედრის დიდი შანსი აქვთ. **მე ძალიან ბევრი შემთხვევაა ვისაუბრო უნივერსიტეტის პერსპექტივებზე. მაგრამ, მე ვიცი თქვენი ინტერესი. ამიტომ, დავინყებ მთავარი თემით,** – მიმართა დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის რექტორმა. ეს მთავარი კი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უპრეცედენტო მოვლენა – **აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების** გახსნა გახლავთ.

მშობლებსა და აბიტურიენტებში, განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია უნივერსიტეტის დაანონსებულმა ამ სიახლემ. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან მოსამზადებელი კურსების გახსნება ეროვნულ

გამოცდებით გათვალისწინებულ ყველა საგანში, რომელსაც ადგილებზე, ყველა მუნიციპალიტეტში, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები გაუძღვებიან. სწორედ ამ სიახლის შესახებ მოახსენა რექტორმა აბიტურიენტებს.

**როდესაც ვამბობთ სიტყვას და ამ სიტყვას ვამბობთ აუდი-**

**ლება, მაგრამ ჩაიჭრენ მოსწავლეები. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, გაგვერკვია, რომელ საგანებში ვერ გადალახეს მათ ბარიერი. უნივერსიტეტის პირველი და მთავარი დანიშნულებაა, მივებმართო მოსწავლეებს, რითაც შეგვიძლია.**

რექტორმა აბიტურიენტებს უნივერსიტეტის შეთავაზება გა-

აცნო. აქვე განაცხადა, რომ ამ კურსების საქმიანობაში უნივერსიტეტის საუკეთესო სპეციალისტები იქნებიან ჩართული. რექტორის თქმით, პირველ ეტაპზე, მოსამზადებელ კურსებზე მსურველი მოსწავლეები დაწერენ პრეტესტს. ჩამოყალიბდება ჯგუფები, თითოეული 10 მოსწავლის რაოდენობით და ოქ-



## ღია კარის დღე

ტომბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყება მეცადინეობები. აქვე განმარტა, რომ თითო საგნის საფასური წლის განმავლობაში 250 ლარი იქნება და იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ამ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდება, აღნიშნული საფასური, სტიპენდიის სახით, უკან დაუბრუნდება. ამ გადასახადიდან გათავისუფლდებიან სოციალურად დაუცველი აბიტურიენტები.

აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრები რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდება და უნივერსიტეტის წარმომადგენლები ადგილზე გაუძღვებიან მეცადინეობებს.

ღია კარის დღეზე დაისვა ბევრი კითხვა. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ისინი გამოხატავენ ნდობას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, მადლობა მოახსენეს უნივერსიტეტის რექტორს ამ ინიციატივისათვის და სურვილი გამოთქვეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის.

იდენტური ღონისძიება, პარალელურ რეჟიმში, ახალქალაქის კორპუსშიც გაიმართა, სადაც ახალქალაქელ და ნინოწმინდელ აბიტურიენტებს უმასპინძლეს. საუბარს რექტორის მოადგილე **ვასილ მოსიაშვილი** უძღვებოდა.

*გვერდი მოამზადა ლიპა ზაზაშვილმა*





22-23 სექტემბერს და ეძღვნებოდა სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკასა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკას, ყველაზე მთავარი დასკვნის იყო, რომ მას ჰქონდა ძალიან პრაქტიკული მნიშვნელობა. შემდეგი, ამ ფესტივალის ფარგ-

ფარგლებში უნივერსიტეტში გამოცხადდა და ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. ეს არის ჩვენი პირველი პროექტები, რომელიც უნივერსიტეტის დაფინანსებით ხორციელდება. იმ სამეცნიერო პროექტს, რომელსაც დადებს ეს ორი პროექტი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, განვსაზღვროთ შემდგომი პოლიტიკა - რამდენად გაამართლებს ასეთი მიდგომა და რამდენად გაგრძელდება ეს უნივერსიტეტ-

სორმა მერაბ ბერიძემ: მე ვფიქრობ, რომ ამ ტიპის ღონისძიებები, ასეთი პრეზენტაციები მნიშვნელოვანია, რათა გავისვენოთ ჩვენი დიდი წინაპრები. ჩვენი სამეცნიერო შეხვედრები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ პოპულარიზაცია გაენიოს პიროვნებას, მეცნიერებას და მეცნიერს, - აღნიშნა პროფესორმა. გაფართოებული „გულანის“ სხდომაზე ნაჩვენებები იქნა სლაიდოვანი დიდი ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. რაც შეეხება შიდა საგარეო პროექტებს, პრეზენტაცია-ანგა-

ერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორმა თამარ მათიაშვილმა წარადგინა. თამარ მათიაშვილის მიერ წარდგენილი თემა გახლდათ - სამცხე-ჯავახეთის (დაზვერვითი) არქეოლოგიური სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტში. მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის მიზანზე, ჩატარებულ სამუშაოებზე სოფელ ზველში, დაასაბუთა კვლევის აქტუალობა და მიზნობრიობა. მან ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტების ჩართულობამ მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები გაწევაში.

ზაირა ტყეშელაშვილი ისაუბრა „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I და II კორპუსთან მდებარე აგრონომიის სასწავლო ნაკვეთში ნაოტექნოლოგიების გამოცდა მრავალწლიან და ერთწლიან კულტურებში. მომხსენებელმა დაასაბუთა კვლევის აქტუალობა და მიზნობრიობა, იმსჯელა კვლევის მეთოდის შესაბამისობაზე პროექტის მიზანსა და ამოცანებთან, ასევე, ყურადღება გაამახვილა კვლევის შედეგებსა და მათ მნიშვნელობაზე. პროექტების წარდგენის შემდგომ დაისვა არაერთი კითხვა, აღნიშნა, რომ სამეცნიერო პროექტების განხორციელებას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და დაიდოს შესაბამისი სამეცნიერო პროექტები. პროექტების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საბოლოო დასკვნებს ისინი რამდენიმე თვეში წარადგენენ.

რეზენ კორსაშვილი

# დასკვნითი ღონისძიება მეცნიერებისა და ინოვაციების უნივერსიტეტის ფესტივალის ფარგლებში

## მეცნიერების უნივერსიტეტის ფესტივალის ფარგლებში 155 წლისთვის

ლეში, იყო ღია კარის დღე. დიდი დანიტერესება გამოიწვია აბიტურიენტთა მოსამზადებელმა კურსებმა, რომელსაც მათ უნივერსიტეტი სთავაზობს. ასე, რომ უნდა გავამართლოთ ამ ბავშვების დიდი ნდობა და იმედი, რომელიც გამოხატეს ღია კარის დღეზე. შემდეგ, ქალბატონმა მაკამ გაფართოებული „გულანის“ სხდომის თაობაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ სხდომა ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 155 წლის იუბილეს. რექტორმა აუდიტორიას აცნობა იმ სამეცნიერო პროექტების შედეგების წარდგენის შესახებ, რომლებიც სამეცნიერო პროექტის



ში, - ბრძანა ქალბატონმა მაკამ. დიდი ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი ღვაწლის შესახებ, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფ-

რიში ინჟინერიის, აგარარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორმა ზაირა ტყეშელაშვილი და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნი-

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, 27 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესორ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორიაში, გაიმართა გაფართოებული „გულანის“ სხდომა-სემინარი „დიდი ექვთიმე - 155“. სხდომას ესწრებოდა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. გაფართოებული „გულანის“ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე. მან ისაუბრა მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების შესახებ და აღნიშნა, რომ გაფართოებული „გულანის“ სხდომა დასკვნითი ღონისძიებაა ფესტივალის ფარგლებში: ონომასტიკურ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველკურსელებისათვის ღონისძიებათა ერთგვიანობის პროგრამა მოამზადა, რომელშიც განვიხილავთ იყო სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული აქტივობები. პროგრამის მიზანი იყო, პირველკურსელებს ახლოს გაეცნოთ საუნივერსიტეტო ცხოვრება, პირველი ნაბიჯები გადაედგათ ამ კუთხით და აქტიურად ჩართულიყვნენ ღონისძიებებში.

ახალი სასწავლო წლის საზეიმოდ აღნიშვნის შემდეგ, პირველკურსელები ფაკულტეტების დეკანებს შეხვდნენ. ამას მოჰყვა ტური უნივერსიტეტში, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო კორპუსების დათვალიერებას. დატვირთული და შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო შემდეგი დღეებიც. პირველკურსელებთან გაიმართა ორი პრეზენტაცია: მუდლის პროგრამის და სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შესახებ. ოთხივე ფაკულტეტის პირველკურსელებისთვის გაიმართა შეხვედრები რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოხალისე ლექტორებთან, სტუდენტურ თითმმართველობასთან. ჩატარდა მასტერკლასი ცეკვაში და ფეხბურთის მატჩი, სადაც პირველკურსელებს შეხვდა უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი.

კვირის ბოლო დღე დაეთმო ლაშქრობას საფარის მონასტერში. შთამბეჭდავი კვირა პირველკურსელებათვის, 28 სექტემბერს, დამთავრდა Welcome ფართით.

# „ის, რას იწყება ელს, სინაშვილი, ან მოაჰრება“

საზიანო კვირეულის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერიძის პირველკურსელებთან დაგეგმილი შეხვედრები 17 სექტემბერს დაიწყო. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელებს რექტორი ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებული პროფესორმა გულიკო ბეჟაურმა წარუდგინა.

სტუდენტებო, უნივერსიტეტის რექტორი ქალბატონი მაკა გახლავთ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მინდა მას ეს საპასუხისმგებლო მოვალეობა მივულოცო. ის ამ უნივერსიტეტში აღიზარდა, როგორც სპეციალისტი, პიროვნება და რექტორის რანგში მისი ჩვენს გვერდით ყოფნა არის მნიშვნელოვანი, - აღნიშნა გულიკო ბეჟაურმა და პირველკურსელებს კიდევ ერთხელ მიულოცა სწავლის დაწყება.

გილოცავთ სტუდენტობას, ამ ულამაზეს ხანას თქვენს ცხოვრებაში, ულამაზესს, უმშვენიერესს, განუმეორებელს, - მიმართა პირველკურსელებს რექტორმა, - აქვე უნდა მივიღოთ თქვენგან პირობა, რომ თითოეული თქვენგანს დღეიდან აქტიურად იქნება ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში.

თქვენ თავად უნდა დაგეგმოთ თქვენი სტუდენტური ცხოვრება. ჩვენ არაფერს დაგიგეგმავთ. ჩვენ არაფერს დაგაძალებთ. პირიქით, ჩვენ ვარსებობთ იმისთვის, რომ გავიგოთ, რა მოგწონთ, რა გინახიათ, რა სურვილები გაქვთ და ეს სურვილები დაგაკმაყოფილოთ.

ქალბატონმა მაკამ პირველკურსელებთან ერთად მათთვის დაგეგმილი ღონისძიებები განიხილა. კულტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შემდეგი განაცხადა: განურჩევლად იმისა, რომელ სპეციალობაზე ჩააბარეთ, ოთხი წლის დასრულების შემდეგ, თქვენ შეემატებით საზოგადოების იმ ფენას, რომელსაც ინტელიგენცია ჰქვია, თქვენ გახდებით ადამიანები, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და ეს თანაბრად გულისხმობს განათლებას სპეციალობაში და განათლებას საზოგადოებრივსა და კულტურულს. ამიტომ, თქვენი სტუდენტობის ორგანო უნდა იქცეს კულტურული ცხოვრება.

რექტორმა პირველკურსელებს, თვეში ერთხელ, ტრადიციულად შეხვედრაზე „საუბრები რექტორთან“ მოახსენა. აღნიშნა, რომ დასწრეობა თავისუფალია და ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი პრობლემის

შესახებ უშუალოდ რექტორს ესაუბროს. ჩვენი ურთიერთობის ფორმატი ასეთია. თვეში ერთხელ, მე გელოდებით ნებისმიერ თქვენგანს თქვენი პრობლემებით, კითხვებით, მოსაზრებით. გისურვებთ წარმატებებს.



ასეთივე საინტერესო გახლდათ რექტორის შეხვედრები იურიდიულ, ბიზნესის ადმინისტრირების და ინჟინერიის, აგარარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პირველკურსელებთან.

მე გახლავართ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და სწორედ ეს გახლდათ ჩემი წარმატებული კარიერის ყველაზე მთავარი საფუძველი. არცერთი წუთი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ამ უნივერსიტეტიდან არ წავსულვარ. აბსოლუტური სხვა ღირებულება, სხვა ფასეულობა აქვს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს არ არის ჩემთვის სამსახური, მე თვითონ ვერ გეტყვით, როდის იქცა უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების ნაწილად, - აღნიშნა რექტორმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას, 19 სექტემბერს.



გაგრძელება მე-10 გვ.



მე-9 გვერდიდან

ამ კედლებში სხვა სიყვარული სუფევს. ის, რაც იწყება დღეს, სინამდვილეში არ მთავრდება. მეგობრობა, რომელიც თქვენსა

# „ის, რას იწყება დღეს, სინამდვილეში, არ მთავრდება“

და ჩემს შორის, თქვენსა და დეკანს, საგნის პროფესორს შორის დაიწყება, ეს მხოლოდ იწყება და სწორად არ სრულდება იმიტომ, რომ მეგობრობას არ აქვს ვადები. ეს ურთიერთობები გაგყვებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

\*\*\*  
საინტერესო გახლდათ, 20 სექტემბერს, რექტორის შეხ-

ვედრა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების პირველკურსელებთან. თქვენ ჩააბარეთ უნივერსიტეტში, რომელსაც წარმატებაზე და განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსიტეტის სახელი აქვს, – მიმართა რექტორმა სტუდენტებს, – თქვენ გაქვთ მთავარი უპირატესობა. არცერთი თქვენგანი არ იჯდება ჯგუფში, სადაც აუდიტორია 300 კაციანია და სემესტრში ერთხელ ან გამოგკითხავენ, ან არა. ეს არის უნივერსიტე-

ტი, სადაც ლექტორებს ვალდებულება აქვთ, გარდა ლექცია-სემინარებისა, ჩაგიტარონ კონსულტაცია ერთი საათის განმავლობაში. შემდეგი უპირატესობა გაცვლითი პროგრამები და საზღვარგარეთ წასვლაა. თუ სხვა უნივერსიტეტში კონკურენცია დიდია, აქ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ბევრი სტუდენტი გავუშვათ. რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ოთხი წლის განმავლობაში მისცემს სტუდენტებს შესაძლებლობას, შეიძინონ პროფესია, ამასთან,

მიიღონ ყველაზე მთავარი – სულიერი საზრდო. გამოიყენეთ ეს წლები იმისთვის, რომ არ დატოვოთ რეგიონის არცერთი გოგონა, ფეხი რომ არ დაადგათ, არ შეისწავლოთ, არ მოეფეროთ თითოეულ ისტორიულ ძეგლს. არ დატოვოთ საქართველოს არცერთი კუთხე უნახავი, ნუ იქნებით პასიუტები. პირველკურსელებთან შეხვედრების დროს კიდევ ბევრი რამ ითქვა საინტერესო. რექტორი პირველკურსელებს დაემშვიდობა შეხვედრამდე – „საუბრები რექტორთან“.

## ერთად – უნივერსიტეტის წარმატებისთვის

ვაფასებ თითოეული თქვენგანის არჩევანს. ის, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდით, ეს არის თქვენი წარმატების დასაწყისი, – ასე დაიწყო საუბარი პირველკურსელებთან სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა მირზა ბურძენიძემ 20 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე. პირველკურსელებს

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი კახა მჭედლიძე და ნინია კვარაცხელია ესაუბრნენ. მირზა ბურძენიძემ პირველკურსელებს სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა გააცნო. აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და გუნდი არჩევნების გზით შეირჩა. მან

სტუდენტებს აქტიური თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. იმ სტუდენტებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებიც ახალქალაქის სასწავლო კორპუსში იღებენ განათლებას. აღნიშნა, რომ სიმორე უნივერსიტეტის ამ სასწავლო კორპუსებს შორის, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვით უნდა გაქრეს. მესამე კურსზე ვარ და ამ სამი წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ და მხოლოდ მუშაობს იმაზე, თითოეული სტუდენტი იყოს წარმატებული, უნივერსიტეტის საქმიანობა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტთა ინტერესებზე მორგებული. აბსოლუტურად ყველა ერთად ვთანხმდებით, რომ უნივერსიტეტი ეს არის სტუდენტი. ყველაზე კარგი მიდგომა უნივერსიტეტის ის არის, რომ სურს შექმნას გარემო, სადაც სტუდენტი ჩამოყალიბდება განათლებულ და წარმატებულ ადამიანად, – აღნიშნა მირზამ



და სტუდენტებს ისიც აცნობა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ლექციების მერე, სტუდენტთა არაფორმალური განათლების მიცემაზე მუშაობს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ცალკე გამოყოფილი ორგანოა უნივერსიტეტისგან და მიდის ჭიდილი უნივერსიტეტსა და თვითმმართველობას შორის. მე გეუბნებით პირდაპირ, რომ ეს ასე არ არის. თუ გვინდა, რომ უნივერსიტეტი იყოს ძლიერი, უნდა დავამსხვრიოთ ეს სტერეოტიპი. თუ

ვინმე დგას თვითმმართველობის გვერდით, ეს არის უნივერსიტეტი. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა პირველკურსელებს სთხოვა, ითანამშრომლონ ამ ორგანოსთან, მივიდნენ ახალი იდეებით მათთან და ერთად შექმნან საინტერესო სტუდენტური ცხოვრება. პირველკურსელებმა მოისმინეს სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები და გამოთქვეს სურვილი, ჩაერთონ აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში.



### პირველკურსელებთან

დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი პროგრამა პირველკურსელებთან მოხალისე ლექტორების შეხვედრას ითვალისწინებდა. უნივერსიტეტში არსებულ ოთხივე ფაკულტეტის პირველკურსელებს ამავე ფაკულტეტების წარმატებული კურსდამთავრებულები შეხვდნენ. მათ „მოხალისე ლექტორის“ სტატუსი, კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონიაზე, მათი მალაქი აკადემიური მოსწრების გამო, უნივერსიტეტის რექტორმა, მკა ბერიძემ მიანიჭა. რექტორმა დააანონსა, რომ ეს ახალგაზრდები პირველკურსელებს შეხვდებოდნენ და საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებდნენ.

ჩვენ პირველკურსელებთან იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულების თამუნა მურჯიკნელისა და ლელა ბარამიძის შეხვედრას დავესწარი. მე ვარ თამუნა მურჯიკნელი, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მეც თქვეთან ერთად ვაბარებდი ამ ზაფხულში გამოცდებს და განლაგართ ამავე ფაკულტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი. სწავლას ვაგრძელებ ისევ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, – ასე გაეცნო თამუნა იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელებს და ესაუბრა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მეთოდებზე. რამ-

## მოსახლისა ღმერთისა ზრუნაჲთა მანათობლად



დენიმე რჩევაც მისცა. აღნიშნა, რომ თეორიულ ცოდნას სტუდენტები წიგნების, სხვადასხვა ლიტერატურის, სამეცნიერო ნაშრომების კითხვიდან მიიღებენ, ხოლო ამ ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ ცოდნას სხვადასხვა აქტივობებიდან შეიძენენ. ასეთ აქტივობებზე უნივერსიტეტში გამართული იმიტირებული სასამართლოები, სტაჟირების პროგრამები და სასწავლო პრაქტიკა დაასახელა: პირველი, რაც პრაქტიკული ცოდნის მიღებაში დამეხმარა, იმიტირებული სასამართლო პროცესებია. აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც ნამდვილ სასამართლო პროცესზე. ვიღებთ რეალურ საქმეს, ვინაიდან ნელმძღვანელი. თავიდან გაგიჭირდებათ პროცესებზე გამოსვლა. მაგრამ ყოველი მომდევნო გამოსვლა იქნება უკეთესი. აქ გარდა პროფესიული ცოდნის განმტკიცებისა, თქვენ მიიჩვენებთ სა-

ჯარო გამოსვლას, ზეპირ მეტყველებას, საზოგადოების წინაშე გამოსვლის შიშის დაძლევას. ჩემი რჩევა იქნება, მიიღოთ მონაწილეობა იმიტირებულ პროცესებში, – აღნიშნა თამუნამ.

მისი შემდეგი რჩევა სტუდენტობიდანვე რეალურ სასამართლო პროცესებზე დასწრებას ეხებოდა. ახალციხის რაიონული სასამართლოს ვებგვერდს ადევნეთ თვალი. იქ არის განრიგი, რომელ მოსამართლეს რომელი პროცესი აქვს. მიბრძანდით და დაესწარით. ჩვენ, იმიტირებულ პროცესებზე, ამ რეალური პროცესებიდან ბევრი რამ გამოგვიყვანება.

სასწავლო პრაქტიკის მწვერვალად თამუნამ სტაჟირების პროგრამა დაასახელა. სტუდენტებს აუხსნა, რომ სტაჟირება რეალურ ორგანოებში საქმიანობას გულისხმობს. თა-



ვად სტაჟირება სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროში გაიარა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რეალური საქმეების წარმოებაში. ამ პროგრამაში მოსახვედრად მალევე აკადემიური მოსწრებაა საჭირო და ურჩია, რომ სწავლა არ დაიხარონ და უნივერსიტეტისაგან მაქსიმუმი მიიღონ. ასევე, არ გამოტოვონ ტრენინგები, სხვადასხვა ლექცია-სემინარები და ეცადნენ,

მიიღონ არაფორმალური განათლება.

აღვნიშნავთ, რომ თამუნა მურჯიკნელი ხუთი სემესტრის განმავლობაში იღებდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიას.

თამუნას შემდგომ, პირველკურსელებს წარმატებული კურსდამთავრებული ლელა ბარამიძე წარუდგა. ჩვენი უნივერსიტეტი გაძლევთ საშუალებას, მიიღოთ განათლება და გაიაროთ სტაჟირება რეგიონის ბევრ დაწესებულებაში. უნივერსიტეტში არის სხვადასხვა წახალისება, ეს არის პრეზიდენტის სახელობის და გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიები. უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელი მნიშვნელოვანია პირველი ჩამოყალიბებისათვისაც. მეოთხე კლასიდან მქონდა სურვილი, იურიდიულზე ჩამებარებინა. აქ მიღებულმა ცოდნამ მომცა შესაძლებლობა დამეწყო მუშაობა და ვყოფილიყავი წარმატებული ჩემს სფეროში. იყავით აქტიურები პირველი კურსიდანვე. მერე ყველაფერი იქნება გვიან, – აღნიშნა ლელამ.

პირველკურსელებმა მოხალისე ლექტორებს რამდენიმე კითხვა დაუსვეს. აღნიშნეს, რომ ისინი პირველ ეტაპზე უნივერსიტეტში გამართულ იმიტირებულ პროცესებს დაესწრებიან და შემდგომ, თავადაც ჩაერთვებიან ამ პროცესების მსვლელობაში.

გვერდი მოამზადა ლიკა ზაზაშვილმა







**ევროკავშირის** პროგრამის – „პროფესიული განათლება გადამზადება და დასაქმება-შრომის ბაზარზე“ – ფარგლებში, 28 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა, სადაც მომზადებული სტუმრებმა პოპულარიზაცია გაუწიეს პროფესიულ პროგრამებზე მყოფ სტუდენტთათვის არსებულ სახელმწიფო სერვისებსა და პროგრამებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირმა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად, დაგეგმა – ათ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდეს მსგავსი ტიპის შეხვედრები, სადაც სტუდენტებს გააცნობენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საგანმანათლებლო სფეროში ბოლო წლების სიახლეებმა მოიტანა. აღნიშნულ სიახლეებზე, სახელმწიფო სერვისებსა და პროგრამებზე, სტუდენტებს

დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების ევროკავშირის პროგრამის კომუნიკაციის ექსპერტი **თათა საყვარელიძე** და საქართველოს სოციალური სერვისების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის ოფისის უფროსი სპეციალისტი **ნაილი ჩადუნელი** ესაუბრნენ. შეხვედრის დაწყებამდე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** მადლობა მო-

გვავახეთის რეგიონის საზოგადოებას, რომ პროფესიული განათლება ეს არის მომავალზე, დასაქმებაზე, წარმატებაზე და საკუთარი რეგიონის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობაზე ორიენტირებული განათლება, – აღნიშნა რექტორმა. ვამაყობთ, რომ ამ პროგრამის შედეგად დიდი წარმატება გვაქვს, – უთხრა სტუდენტებს პროფესიული განათლებისა და გადამზადების ევროკავშირის

მომსახურების სააგენტოს დასაქმების სამსახური ანუ დის ინფრომაციას სამუშაოს მაძიებლებს. ჩვენი დანიშნულება, პირველ რიგში, გახლავთ საშუალებები მომსახურება. კონსულტირებას ვატარებთ ინდივიდუალურად და ჯგუფურად, ასევე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსებსა და სტაჟირებას ვთავაზობთ სამუშაოს მაძი-



ებლებს. პირველი ნაბიჯი გახლავთ – დარეგისტრირდით საიტზე [worknet.gov.ge](http://worknet.gov.ge). ამ პორტალზე რეგისტრირდება ყველა სამუშაოს მაძიებელი და არა მარტო სამუშაოს მაძიებელი, ასევე, დამსაქმებელიც. ქალბატონმა ნაილამ აქვე განმარტა, რომ WorkNet – ეს არის ელექტრონული სივრცე, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოს გადამწყვეტილებით და ხელშეწყობით. აქ შეიძლება დამსაქმებელმა და სამუშაოს მაძიებელმა მუდმივად ადევნოს თვალყური პროფესიულ სფეროში მიმდინარე სიახლეებს, მოიძიოს განვითარების შესაძლებლობები და სხვა. შეხვედრის დასასრულს სტუდენტებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები და ბროშურები.

ჩვენი კომენტარები

# პროფესიული პროგრამების განვითარებისთვის



ასვენა სტუმრებს მომზადებისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აცხადებს მზაობას, აქტიურად ითანამშრომლოს მსგავს ორგანიზაციებთან სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში. **ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო გარემო. გვიანდა, მივანდობთ ინფორმაცია სამცხე-**

პროგრამის კომუნიკაციის ექსპერტმა თათა საყვარელიძემ და აღსძინა, რომ პროფესიული განათლების ხარისხი უმჯობესდება და მაღლდება. მოხდა მასწავლებელთა გადამზადება. ასევე, ჩამოყალიბდა საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობა. ერთის მხრივ რასაც ამზადებს სახელმწიფო პროფესიული განათლების სახით, უნდა პასუხობდეს მოთხოვნას შრომით ბაზარზე. ასევე აღსანიშნავია, რომ შეიქმნა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა და მიმდინარეობს მუშაობა ამ სისტემის გაუმჯობესებისთვის.

სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების სამსახურის სპეციალისტი ნაილი ჩადუნელი სტუდენტებს ესაუბრა იმ სერვისების შესახებ, რომელსაც აღნიშნული სამსახური მათ სთავაზობს და რომ სოციალური



**ვარა (ბარბარე) ბალიზინი** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანაწესებული საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი გახდა. ერთი შეხედვით, აქ უცნაური არაფერია, მაგრამ, როდესაც გაიგებთ, რომ ვარა საუკეთესო მეუღლე და ამასთან, რვა შვილის დედაა, დარწმუნებული ვარ, გაიოცდებთ – რა დროს სწავლაა, როგორ მოასწრებს ოჯახის მოვლას და სწავლას. საქმე სულაც არ გახლავთ ასე.

ვარამ ეროვნული გამოცდები ჩააბარა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ვიფიქრე, ბავშვებს რომ წამოვზრდი, სწავლასაც დავამთავრებ, მერე სამსახურსაც დავიწყებ. ეს სპეციალობა შვი-

ყველაფერი. დიდი მოლოდინი მაქვს. მინდა, რომ კარგი სპეციალისტი გავხდე. აქ ახალი პროგრამით სწავლება მნიშვნელოვანია. შეიღებთ საცალი უხარიათ, რომ დედა სტუდენტი ჰყავთ. ეროვნული გამოცდების დროს, ისინიც ჩემ-

ამბობს, რომ ის ამ სიმრავლეს მიჩვეულია. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი შვილი გეყოლება ოჯახში. ყველას სჭირდება ის, რასაც დედა აკეთებს, – გვეუბნება ვარა და შვილების შესახებ გვიყვება, – წყნარი ბავშვები არიან. ეს მით ჩემი თხოვნა. ოთხი სკოლაში დადის, დანარჩენები სახლში მყავს.

## „მინდა საკუთარ თავს დაუბახირო - მე ეს შეიძლება!“



სკოლისთვის ტანისამოსსა და საჭირო ნივთებს ბავშვებს ღამე უმზადებს. ბავშვებს რიგ-რიგობით ალვიძებს, ჯერ სკოლაში წამსვლელებს, შემდეგ პატარებს. ყოველ დღით თავად ასაუზმებს და სკოლაში უშვებს. შემდეგ ტყუპებზე ზრუნავს, სახლს აწესრიგებს და სკოლიდან მოსულ ბავშვებს სადილს ახვედრებს. გაკვეთილების მომზადების შემდგომ, ოთხივე მათგანს უსმენს და თუ საჭიროა, შენიშვნებსაც აძლევს: **კარგი ბავშვები არიან. მადლობა ღმერთს, კარგად სწავლობენ. მე და მეუღლე ვუძღვებით ამ ყველაფერს. მეუღლე სტიქაროსანია. მან მეტეხში დაინიშნა მოღვაწეობა. ახლა ახალქალაქშია, მასზე დაკისრებული მოვალეობას, სტიქაროსნობასაც უთავსებს.**

ლებთან მუშაობაშიც გამომადგება. მეუღლემაც მითხრა, რომ ხელს შემიწყობდა. ამან უფრო მეტი სტიმული მომცა და ასე გავხდი სტუდენტი, – გვეუბნება ვარა.

თან ერთად განიცდიდნენ. უხარიათ, რომ დედა იმუშავებს. ის, რომ რვა შვილის დედა იქნებოდა, არასოდეს უფიქრია. უფროსი 10 წლის, ხოლო უმცროსები ტყუპები, ხუთი თვისანი არიან. აქედან ოთხი ვაჟია – მათე, იოანე, ლუკა, მარკოზი, ოთხი პატარა ქალბატონი – მარიამი, ანა, ნინო და მართა.

ვარა გვეუბნება, რომ ბავშვები 10 საათზე იძინებენ და მომდევნო დღის სამზადისის შემდეგ, სწავლისთვისაც აქვს დრო. უნივერსიტეტში მიცემულ დავალებებს ასრულებს. **მინდა, საკუთარ თავს დაუბახირო, რომ მე ეს შეიძლება,** – გვეუბნება ვარა. მან საკუთარ თავს ბევრი დაუმტკიცა. სამშობლოს რვა შვილი აჩუქა და განათლებულ, წარმატებულ მომავალს უზრდის. აქ ყველაფერი ნათქვამია. ვარ, საუკეთესო დედა, მეუღლე და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირსეული სტუდენტია.

ლიკა ზაზაბილი

# კოეზია

ადამიანი

ადამიანში არის ტირანი და ცრემლიანი ქრისტეს წამება, არის სიცოცხლე, წამით მყვირალი, არის მუდმივი გარდაცვალება!

ადამიანში არის სიმღერა, არის ჩხავილი, ყვავი, ყორანი, ცოდვის მდინარე არის იმხელა, ვერ გადაივლის მჩატედ ბორანი!

ადამიანში არის მხატვარი, არის მწერალი, არის მხედარი და ზოგჯერ არის სული დამპალი, ზოგჯერ ცოცხალი, უფრო ცხედარი!

ადამიანში არის წარსული არის ტკივილიც რომ იუარა, არის ფიქრებიც, ვადაგასული, დრომ რომ ქვასავით გადაუარა!

არის ძაფები, თმენის სიმები და მრისხანება არის შავფერი, არის სურნელი, ვარდი, იები და სიყვარული გულით ნაფერი!

ადამიანი ზოგჯერ მხეცია, ზოგჯერ ლომია ფაფარიანი, ზოგჯერ მის სულში ჯოჯოხეთია, ზოგჯერ არც კაცობს ადამიანი!

ადამიანში არის გმირობა, ზოგჯერ სიბრაზე სამართლიანი, არის უწყვეტი დედა-შვილობა და „კაციც არის ადამიანი“!

\*\*\*

ახლა, როდესაც შორია მინა, შორია, უკვლოდ დაგდევარ თითქოს, როდესაც დარდი დღეს ჩვევად იქცა და ჩვევა მეტად სიჩუმეს ითხოვს!

მალა კი ზეცა უზღვრო და უზღვო და ქარი, რომლის ქარობაც მიჯობს, მე მირჩევნია დუმილი უფრო, დუმილი ფიქრი უფრო მეტს ფიქრობს.

\*\*\*

დრო უცნაურად გავიდა, თითქო არაფრად შემჩნა, ზღვებშიც დასცურავს ნავი და ცხორიც იზრდება მგელთა.

ზამთარშიც არის ზაფხული ხან ნამდვილია „გერთა“, ზოგჯერ სავსეა, ნაკლული, ხან უფერული ფერთა!

გავრბივარ, ქარი მაბრუნებს, ვსწავლობ, მივიწყებს სევდა, ხან დილა უფრო მაბრუნებს, სხვისი მგონია ჩემდა!

# „შეინდე! უნოდ მიყვარდა ნათება...“

რევაზ ზუმბაძე

ბანათლავის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საეციალოგის მესამე კურსის სტუდენტი

კი ვიცი, საით წავიდე, ის ვიცი, საით ზეცა, მინაში რატომ ჩავიდე, სალი მიზიდავს კლდეთა!

მაგრამ დროს ვფანტავ, უდროო ლამის არ ვიცი თევა, ღმერთს ლოცვა როგორ ვუგროვო?! არა მაქვს თავხრის ჩვევა!

ზღვებშიც დასცურავს ნავი და ვიცი, პატარაც დიდობს! დრო უცნაურად გავიდა და მაინც, ისევ მინდობს!

ცხორიც იზრდება, მგელი და ყინულს უშენენ მზეთა, მინისგან არას ველი და სალი მიზიდავს კლდეთა!

\*\*\*

ისევ უსასრულო ფიქრებს შეეყარე, სანამ გათოვდება, სიტბოს ემალე. მე კი მზის სხივებზე გულზე დაგეფარე, ვიცი, რომ ღმერთს ზოგჯერ მწვერვალები.

წვიმს და ნარეცხები ჩნდება ფანჯარაზე ხეებს არწვევენ და ქარნი დიდგულობენ. ჩიტნი შემომჯდარან გრძობის ქანდარაზე, შენზე ნაფიქრადებს ცაში კითხულობენ.

მალე დაზამთრდება, თეთრად გათოვდება, ნოტებს გაყინავენ თეთრი კლავიშები. ფიქრი, ალბათ, შენსკენ ისევ გაქროლდება და შენს სანახავად ფიქვად დავიშლები.

მაისს რომ შეხვდება შენი დაბადება, თითქოს გაყინული, თბილად შემომჩრები. არა, არ ივარგებს ისევ გადადება, უთქმელ პაემანზე სადმე შემოგხვდები.

ზაფხულს დაფუხავს შენზე ეტიუდებს, იქნებ შენი გული ოდნავ ავაძგერო და თუ ჩემს ნახატებს ისევ ვერ გაიგებ, მაშინ აღარ ვიცი, სხვა რა დაგაჯერო!

ახლა შემოდგომა შენს თავს მაძებნინებს, შენ კი „ცივი ხარ“ და სიტბოს ემალე, მე კი მზის სხივებზე გულზე დაგეფინე. ვიცი, რომ ღმერთს ზოგჯერ მწვერვალები.

\*\*\*

მზეს გაჩუქებ ალისფერს, მოყვითალო სხივებით, მაგრამ თითქოს ღამისფერს უძრობით მივებით!

დრო არ იძვრის, მთავრდება, რომ გვგონია ალაგი, თურმე ჩვენს წინ შავდება თეთრი თოვლის ქალაქი.

თითქოს ღრუბლის მანტია ჰყვება თეთრზე არაკებს, გულში ცეცხლი ანთია და გულს გრძობა განაგებს!

მაგრამ მაინც სიცვიეს ყინვა მეტი სწყურია, ფიფქებმაც კი იტირეს ცაც ზღვარს გადასულია.

უკვე გრძობის ბუნაგი ეჭვის ზღვებზე აშალეს, გული, გულზე გულადი, დაამსხვრიეს, დაშალეს...

ეს წამების ქვეყანა ჩემს ფიქრს გადაამტერეს, მე კალამი მეკავა და უმელნოდ დამწერეს!

მზეს გაჩუქებ ალისფერს, ფიქრში მალე დათბება მაინც მოვკლავ ღამისფერს, გაზაფხულიც დადგება!

## შეინდე, მამაო!

ცოდვილ ვარ, მამაო, შემიხედე როგორმე, შევცოდე იმდენი, რამდენიც შევძელი, სხეულის სიმძიმე მე ველარ მოვზომე, ვერც თხი ავზილე, ქვაც კი ვერ შევქმენი!

შეინდე, რადგანაც მე ლოცვაც არ ვიცი, მწამს, მაგრამ მონაშე ვერა ვარ სხვისდენი, ვეცადე, ძაძები მათხოვრის ჩავიცვი, მათ ხურდაც არ მომცეს, მესუნთქა – იმდენი!

შეინდე! მუხლებზე ხავსები ამება, წყლულუბად დამაჩნდა, რომ არ მყავს შეილები, მე ვფიცე ათასჯერ ტყუილად სამება, გამყიდველ იუდას „ვერცხლებად“ მივები.

შეინდე! უზომოდ მიყვარდა ნათება... ნათება ცოდვაში ნაძირი სიბნელის, მიყვარდა ქალებში ცდუნების ხატება, ადვილად გამოქნა ძალიან სიძნელის!

შეინდე! მჭირდება, ეს უფრო ნაკლია, ეს უფრო სენია, ვიდრეა ცხოვრება და ვიცი, მინაზე აქ ჩემი სახლია და ვიცი ძლომისას ეს მემახსოვრება.



შეინდე! რადგანაც ეს ძლიერ მანუხებს და განა ვგოდებ ან ცრემლებად ვიღვრები? მოვისხნი თუ გინდა ამ ტანჯვის მარნუხებს, ვერცხლებად დამცვივა ახალი ნილები!

და მაინც არ ვიცი, რა მინდა უშენოდ, ურწმუნოდ რა არის მომავლის სავალი, არ ვიცი, ღამისას მზეს რატომ ვუთენოთ! არ ვიცი, დღეა თუ ღამეა მთავარი!

არ ვიცი, მამაო, რატომ არ მაგონებ და იქნებ არც მესმის, რადგანაც „არ ვიცი“, ან იქნებ უთქმელად ღრმა ლოცვას მანდომებ, ან უკვე შემიხედე, ძაძა რომ ჩავიცვი?!

არ ვიცი, რამდენად გულწრფელი დამარქვი, რამდენად ისმინე უყვავო ჩხავილი? ან იქნებ მომავალს სურნელი ჩააფქვი და მალე ამოვა ღამეა ჩხავილი?!

შეინდე! რადგანაც გაირყვნა სამყარო, ცხენებზე შემოჯდნენ დედალი მამლები! არ მინდა, ეს მინა სისხლით რომ გასვარო, მცველებმაც დახუჭეს ფხიზელი თვალები!

ტირიან ბავშვები, და განა შიმშილით? უდედოდ, უმამოდ ან განა უსახლოდ? არ ჰგვანან ისინი ვაჟკაცებს ცხვირ-პირით, ედემი აქციეს უწყლოდ და უდაბნოდ!

სოდომი, გომორი, ერესთა პათოსი და ღმერთის „მართლება“ დაიწყეს უღმერთოდ, იჯერეს მკითხავთა შეთხზული ჯადოსი, რომ კაცი იქმნება უმამოდ „უდედოდ“!

რომ ახლა, თითქოსდა, გამქრალან კაცები, მალულად მწიფდება ამ დროში ნაყოფი, მოაწყვეს ტყუილი, უაზრო ჯვარცმები და ახლა შურია ძმათათვის გამყოფი!

შეინდე, ისევე მუხლებზე გიდგები, უბრალო სიტყვებით, უბრალო ფიქრებით, მე ახლა შენსკენ ვარ, შენს ხატებს მიყვები და სანამ წავიდე, ცოტა ხანს ვიქნები!

# კვირის ღონისძიებების თეატრალური ფორმა



მისამართი  
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106  
რედაქტორი  
მარიანა ზაქარაიძე  
ტელ.: (+995) 22 890 400 191  
ტელ.: 599 25 25 68  
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge